www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 23 ივნისი, 2012 წელი. | №3046 (139) | ფასი 50 თეთრი

"მასთ ქერი" - ინიციატივა პარლამენტის თავმჯდომარემ აიღო

დათო გამისონია

პარლამენტი "მასთ ქერი"-სა და "მასთ ოფერ"-ის წესის შემოღებას დათანხმდა. თუმცა, საკაბელო კომპანიებს ყველა ტელეარხის ჩართვის ვალდებულება მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში ექნებათ.

სამოქალაქო კამპანიას - "ეს შენ გეხება", "მასთ ქერი"-ს პრინციპის შესახებ მომზადებული საკნონმდებლო წინადადების ინიცირების მიზნით, 30 000 ხელმოწერის შეგროვების უფლება პარლამენტმა ხუთშაბათს მისცა. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარე გუშინ ახალი ინიციატივით გამოვიდა.

დავით ბაქრაძის თქმით, ხელისუფლება მუშაობს საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომლის მიხედვითაც, საარჩევნო პერიოდში ყველა პოლიტიკურ პარტიას, ყველა ტელეარხს საშუალება მიეცემა, უფრო მეტ ამომრჩეველს, საზოგადოების უფრო დიდ ნაწილს მიაწვდინოს ხმა და დაფარვის ზონა გაზარდოს. **"უფრო კონკრეტულად, ეს გულისხმობს წინადადებებს, რომ საარჩევნო პერიოდში ყველა სატელევიზიო არხი ყველა საკაბელო ქსელის მეშვეობით გადაიცეს. ეს დიდი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება იმისთვის, რომ მოსახლეობას ყველანაირი განსხვავებული აზრის მოსმენის საშუალება ჰქონდეს.**

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ანტენების საქმეზე გამოძიება გრძელდება

კომპანია "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" დაუმონტაჟებელი ანტენების დაყადაღების პროცედურა მთელი საქართველოს მასშტაბით დასრულებულია. საქმეზე გამოძიება გრძელდება. როგორც მთავარ პროკურატურაში განმარტავენ, დაყადაღების ღონისძიება მიზნად ისახავდა ამომრჩევლისა და წინასაარჩევნო პროცესების დაცვას.

გუშინ კომპანია "გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" ინტერესების დამცველმა გაასაჩივრა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც კომპანიის საწყობებში ანტენების ნაწილი დაყადაღდა, ტექნიკის ნაწილი კი სამართალდამცველებმა საცავებს გარეთ გაიტანეს. "გლობალ ტვ"-ის დირექტორი ზურაბ ბაზლაძე კვლავ ირწმუნება, რომ მის კომპანიას არანაირი კავშირი არ აქვს ბიძინა ივანიშვილის პარტიასთან.

როგორც პროკურატურაში აცხადებენ, აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს დანაშაულის თავიდან აცილებას, ასევე წინაასარჩევნო პროცესების დაცვას შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისაგან და პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ოლიგოპოლიური ფარმაცევტული ბაზარი

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ადგილობრივი კომპანიები შეისწავლა

სოფო ჩიხლაძე

"საქართველოში მედიკამენტებზე ფასნამატი ევროპული ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით მაღალია" - ეს ფრაზა ამონარიდია ანგარიშიდან, რომელიც "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ" ქართული ფარმაცევტული ბაზრის შესწავლის შემდეგ მოამზადა. ანგარიშის პრეზენტაცია სასტუმრო "რედისონ ბლუ ივერიაში" გუშინ გაიმართა.

ადილობრივ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული მდგომარეობა არაერთხელ გამხდარა ექსპერტებისა და ფარმაცევტული ბაზრით დაინტერესებული ორგანიზაციების გამოკვლევისა და განხილვის თემა. ექსპერტების შეფასებით, აფთიაქებში არსებული მაღალი ფასებით, მედიკამენტების მწარმოებელი და იმპორტიორი კომპანიები ზემოგებაზე მუშაობენ.

არასამთავრობო ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანგარიშის თანახმად, 2010 წელს საქართველოში ოჯახების შემოსავლის 34 პროცენტი ჯანმრთელობის დაცვაზე იხარჯებოდა. ამ თანხის დიდ ნაწილს კი მედიკამენტების ღირებულება შეადგენდა.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

ბაგრატის შესახებ კულტურის სამინისტროში

სოფო კილასონია

ანდრეა ბრუნო ის იტალიელი რესტავრატორია, რომელიც ბაგრატის ტაძრის სარეკონსტრუქციო სამუშაოებში ორი წლის წინ იუნესკოს რჩევით ჩართეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ორი წლის წინ სარესტავრაციო სამუშაოებთან დაკავშირებით იუნესკოს დასკვნაში კრიტიკა გაისმა და ძეგლიც მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლთა იმ ნუსხაში შევიდა, რომლებშიც დაღუპვის პირას მყოფ ძეგლებს აერთაინებენ. აქ იგულისხმება არა დაღუპვა, როგორც ნგრევა, არამედ დაღუპვა - მისი ღირებულების გაქრობის საფრთხე. პირობითად ამ სიას წითელ სიასაც უწოდებენ ხოლმე. თუკი ბაგრატის ტაძარს მისი გეგმის თავისებურებების გამო ხუთ ნაწილად დავყოფთ - ოთხ მკლავად და გუმბათად - თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ ანდრეა ბრუნო სარეკონსტრუქციო პროექტის მეხუთედს ხელმძღვანელობს. დასავლეთის მკლავის რეკონსტრუქციას. ტაძრის მთავარი შესასვლელის მხარის აღდგენას. ეს მკლავი არა თუ დაზიანებული გახლდათ, არამედ აღარც არსებობდა. როგორც რესტავრატორი ადასტურებს, მისგან მხოლოდ 4 ქვა იყო შემორჩენილი.

გაგრძელება
მე-10 გვერდზე

1 აშშ დოლარი		1.6340⇓
1 ევრო		2.0704⇓
1 ინგლისური გირვანქა		2.5669⇓
1 თურქული ლირა		0.9087⇓
100 რუსული რუბლი		4.9658⇓
თბილისი		30°C - 19°C
ქუთაისი		33°C - 20°C
თელავი		32°C - 18°C
ზუგდიდი		31°C - 19°C
ბათუმი		27°C - 19°C
ნავთობი	2.53	+0.01 +0.29%
გაზი	2.64	+0.06 +2.38%
ოქრო	1,566.00	+0.50 +0.03%
ხორბალი	681.50	+19.75 +2.90%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:

ISSN 1987 9121

ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ზიმბაბვეს იოლად გაუსწორდნენ 11

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის“ და „Weekend“-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნებზე „საქართველოს ფოსტის“ პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინგაზოობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ესპანეთში საქართველოს 54 მოქალაქე დააკავეს

ესპანელმა სამართალდამცველებმა ორგანიზებულ-დანაშაულებრივი დაჯგუფების წინააღმდეგ სპეცოპერაცია ერთდროულად რამდენიმე ქალაქში - ბარსელონაში, ბილბაოსა და სარაგოსაში ჩაატარეს.

გავრცელებული ცნობით, დაჯგუფება ქვეყნის 14 ქალაქში მოქმედებდა და მათ წინააღმდეგ დაწყებული გამოძიება რამდენიმე თვეა მიმდინარეობს.

ესპანეთის პოლიციის მიერ სპეცოპერაციისას დაკავებულები ბინების ძარცვაში არიან ეჭვმიტანილი და გარდა ამისა, კრიმინალური დაჯგუფების წევრობაც ედებათ ბრალად.

პოლიცია ძარცვის 31 საქმეს იძიებს. დაკავებულთა ბინებიდან ამოღებულია მოპარული ნივთები და სანადირო თოფები. სავარაუდოდ, კრიმინალებს კავშირი იმ დაჯგუფებებთანაც ჰქონდათ, რომლებიც ესპანეთში ზამთარში ორი სპეცოპერაციისას აიყვანეს.

დაკავებულთა შორის საქართველოს 54 მოქალაქეა. გამოძიების ინფორმაციით, საქართველოს მოქალაქეებმა ერთ-ერთი ბინის ძარცვისას ბინის მეპატრონის მიმართ ძალა გამოიყენეს და აწამეს.

კიდევ ერთი სპეცოპერაცია ჩატარდა თურქეთში, სადაც პროსტიტუციაში ეჭვმიტანილი 2 ქართველი ქალი დააკავეს. ოპერაცია არდაჰანის პროვინციაში ჩატარდა, რომლის შედეგად პროსტიტუციაში ეჭვმიტანილი 46 ადამიანი დააკავეს.

ეჭვმიტანილები ქალაქებში - ჰოფასა და ართვინში აიყვანეს. დაკავებული საქართველოს მოქალაქეების ვინაობა უცნობია. ადგილობრივი მედიის ცნობით, სამართალდამცველები სპეცოპერაციას 5 თვის განმავლობაში გეგმავდნენ. საქმეში ტრეფიკინგის კვალიც შეინიშნება.

46 ადამიანიდან 24 უკვე გათავისუფლებულია. ადგილობრივი მედიის ცნობით, აყვანილ ქართველებს სამშობლოში დეპორტაცია ელოდებათ

ზაზა გაბუნია მერიისგან განმარტებებს ითხოვს

საკრებულოს "ქრისტიან-დემოკრატი" დეპუტატი ზაზა გაბუნია "მზიურში" მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ თბილისის მერიისგან განმარტებებს ითხოვს. როგორც გაბუნიამ "მზიურთან" გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, სარეაბილიტაციო სამუშაოების ირგვლივ ბევრი პასუხგაუცემელი შეკითხვა არსებობს.

მისივე თქმით, გარდა იმისა, რომ მერიამ სამუშაოების განხორციელების უფლება შავ სიაში შეყვანილ კომპანიას მისცა, თავად პროექტის შინაარსიც გაუგებარია.

"მერია არ ახმოვანებს კონკრეტულ და გასაგებ ინფორმაციას, თუ რა იგულისხმება "სარეაბილიტაციო სამუშაოების II ეტაპის" მიღმა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ვაყენებთ ორ ძირითად მოთხოვნას - თბილისის მერიამ დეტალურად აუხსნას საზოგადოებას, რა იგულისხმება სარეაბილიტაციო სამუშაოებში; რამდენად იქნება დაცული "მზიურის" სარეკრეაციო ფუნქცია და მასთან დაკავშირებული სხვა ფუნდამენტური მნიშვნელობის საკითხები და მეორე - ოპოზიციური ძალების, სამოქალაქო საზოგადოების და დაინტერესებული ჯგუფები წარმომადგენლებისგან საგანგებო კომისია შედგეს, რომელსაც სარეაბილიტაციო სამუშაოების მონიტორინგის უფლებამოსილება ექნება," - აღნიშნა ზაზა გაბუნიამ.

თბილისის მერიის სატენდერო კომისიის 11 ივნისის გადაწყვეტილებით, "მზიურის" II ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების უფლება შპს "აბგ და კომპანიას" მიეცა. სარეაბილიტაციო სამუშაოებზე 529 498 ლარი დაიხარჯება.

გაბუნიას განცხადებას გუშინვე მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის უფროსი გამოეხმაურა. გიორგი ქორქაშვილის განცხადებით, "აბგ და კომპანიასთან" თბილისის მერიას ხელშეკრულება კანონმდებლობის სრული დაცვით აქვს გაფორმებული.

ქდმ-ს ლიდერები სენაკში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ

"ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერები გიორგი თარგამაძე და გიორგი ახვლედიანი სენაკში, სამხედრო დასახლებაში მცხოვრებ დევნილებს შეხვდნენ და მათ ადგილობრივ პრობლემებზე ესაუბრნენ. გიორგი თარგამაძე და გიორგი ახვლედიანი მათი სოციალური და საყოფაცხოვრებო პირობებით დაინტერესდნენ. მოძრაობის ლიდერებმა დევნილებს "ქრისტიან-დემოკრატების" წინასაარჩევნო პროგრამა გააცნეს და თავიანთ პარტიის პრიორიტეტებზე ესაუბრნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საცხოვრებელი ფართების დაკანონებას, დასაქმებასა და გაზიფიცირების პრობლემებს. ადგილობრივების განცხადებით, უმთავრესი პრობლემა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობებია.

როგორც "ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის" ლიდერები აცხადებენ, ისინი უკვე მესამედ იმყოფებიან აღნიშნულ დასახლებაში და დევნილებს კვლავ იგივე პრობლემები აწუხებთ, რაც წინა წლებში აწუხებდათ.

"თითოეულ ჩამოსვლაზე იგივე პრობლემები გვხვდება და კიდევ უფრო მეტი ემატება - უპირველესად გაზიფიცირების, წყალგაყვანილობისა და ანტისანიტარიის შესახებ. თუმცა, ზოგიერთი საკითხი შეიძლება, ძალიან სწრაფად მოგვარდეს. ეს არის არსებული ბინების დაკანონება და საკუთრებაში გადაცემა დევნილებისათვის, რაც დიდი ხანია, უნდა გაკეთებულიყო და არ გაკეთდა," - განაცხადა გიორგი თარგამაძემ.

ანტენების საქმეზე გამოძიება გრძელდება

პირველი გვერდიდან

საქალაქო სასამართლოში შეტანილი საჩივრის მოთხოვნა ყადაღის შესახებ განჩინების გაუქმებაა. კომპანიის ადვოკატის ალექსანდრე ბარამიძის განმარტებით, საჩივარში აღნიშნულია როგორც სასამართლოს მიერ გაცემულ დაყადაღების დოკუმენტზე მოსამართლის ხელმოწერის არარსებობა, ასევე მთელი რიგი სხვა პუნქტები. **"სასამართლოს განჩინება არის უკანონო. საქმეში არ არის ბრალდებული მაშინ, როდესაც უნდა იყოს ბრალდებული იმისათვის, რომ გამოიყენო ბრალდება და დააყადაღო ქონება. სასამართლოს გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული საფუძვლები, თუ რა საფუძვლიან ეჭვს დაეყრდნო მოსამართლე. ისიც გასარკვევია, ფურცლის ბოლოს არსებული "ხელმოწერა" ეკუთვნის თუ არა მოსამართლეს.**

მოსამართლის გვარის გასწვრივ, არანაირი ხელმოწერა არ არის. რაღაც არის მიჯღაბნილი," - აცხადებს ადვოკატი ალექსანდრე ბარამიძე.

სასამართლოს განმარტებით, მოსამართლემ პროკურატურის შუამდგომლობა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა. შუამდგომლობა კი სასამართლოში ელექტრონული ფორმით იყო შესული და შესაბამისად, სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება მოსამართლე ვაჟა ფუხაშვილის მიერ ხელმოწერილია ელექტრონული ფორმით.

როგორც "ქართულ ოცნებაში" აცხადებენ, პოლიტიკურ კოალიცია "გლობალ ტვ"-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე ინფორმაციას საქართველოში აკრედიტირებულ დიპლომატიურ კორპუსსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მიაწვდის.

"გლობალ-ტვს"-ს ანტენების დაყადაღებასთან დაკავშირებით, გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში საგანგებო ბრიფინგი გაიმართა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ეკა ზღულაძემ განაცხადა, რომ პოლიცია, კანონით განსაზღვრული წესით მუშაობს, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააგრძელებს დანაშაულის პრევენციას და გამოვლენილ ფაქტებზე რეაგირებას, მათ შორის ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტებზე.

"ამ შემთხვევაში, საქმე ეხება ძალიან კონკრეტული პოლიტიკური ამბიციების მქონე პირის მიერ კონკრეტული პარტიის წინასაარჩევნო აგიტაციის ფარგლებში კონკრეტული ამომრჩევლისთვის კონკრეტული მატერიალური ქონების უფასოდ გადაცემას, შესაბამისად, ამომრჩევლის შესაძლო მოსყიდვას, რაც დანაშაულია და კანონით ისჯება," - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

მისივე თქმით, სახელმწიფოს ამოსავალი პრინციპების შერყევის უფლება ქვეყანაში არც ერთ პიროვნებას ან პოლიტიკურ პარტიას არ მიეცემა.

"ძალიან სამწუხაროა, რომ ბიძინა ივანიშვილი და პარტია "ქართული ოცნება" როგორც ჩანს, ფიქრობს, რომ კანონზე მაღლა დგას და მუდმივად, მიზანმიმართულად ცდილობს, დაასუსტოს კანონი და, შესაბამისად, დემოკრატია ამ ქვეყანაში," - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

ბოლო ორი დღის განმავლობაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიცია გამოხატა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა.

ომბუდსმენის განმარტებით, ის ჯერჯერობით არ იცნობს დოკუმენტებს, რის საფუძველზეც შეაფასებდა, კანონიერი იყო თუ არა ქმედებები, რომელიც "გლობალ კონსტალტინგის" ირგვლივ განხორციელდა, თუმცა, როგორც გიორგი ტუღუში ამბობს, განსაკუთრებით წინასაარჩევნო პერიოდში, ხელისუფლებამ მაქსიმალურად უნდა იზრუნოს, რომ მედიაგარემო მრავალფეროვანი იყოს.

"როგორც სიხშირულ, ასევე საკაბელო მაუწყებლებს, რომლებიც საქართველოში ახორციელებენ ზოგადად მაუწყებლობას, უნდა მიეცეთ მაქსიმალური საშუალება, რომ დაფარვის არე რაც შეიძლება ფართო იყოს, აქედან გამომდინარე, არაერთი ინიციატივა არსებობს და საჭიროა მათი განხილვის დაწყება," - აცხადებს სახალხო დამცველი. რაც შეეხება დაყადაღების პროცესის განხორციელების ფორმებს, მათ შორის, კონკრეტულ ობიექტებზე სამართალდამცველთა სიმრავლეს, ომბუდსმენი ამბობს, რომ დეტალურ კომენტარს მას შემდეგ გააკეთებს, რაც ადვოკატების ან საკუთარი საშუალებით მოიპოვებს მასალებს და მიეცემა მათი გაცნობის საშუალება.

რუსეთის ულტიმატუმის მიღება დასავლური ორიენტაციის სანაცვლოდ

"ფიგარო" ბიძინა ივანიშვილის შესახებ

მარი ახსიაშვილი

ფრანგულმა გამოცემამ "ფიგარომ" ბიძინა ივანიშვილის შესახებ ორი სტატია გამოაქვეყნა. იზაბელ რასელი, წერილში, სათაურით "ივანიშვილი - მილიარდერი, რომელსაც საქართველოს მართვა სურს", ამბობს, რომ "გაზპრომის" აქციონერი მილიონებს ხარჯავს და ძალისხმევას არ იშურებს, რათა 2013 წლის არჩევნებში პრეზიდენტის პოსტი დაიკავოს.

"ბიძინა ივანიშვილმა თავისი ფუტურისტული სასახლე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეზიდენციის პირდაპირ ააგო, თუმცა უფრო მაღლა. ბორცვზე უზარმაზარი თეფშის მსგავსი ასაფრენი მოედანია. ის მავთულხლართებით და კამერებითაა აღჭურვილი. ქვევით, დედაქალაქ თბილისის ცენტრში, რუს-ქართველმა ოლიგარქმა, რომელსაც ფრანგული პასპორტიც აქვს, ყველგან თანამედროვე შენობები ააგო. მან დააფინანსა ასევე კოლოსალური მართლმადიდებელი ეკლესია, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში განათებულია. ის აფინანსებს თავის მშობლიურ სოფელ ჭორვილას, უნივერსიტეტებს და მუზეუმებს; აღადგინა საავადმყოფოები და სკოლები. სოფლის ცენტრში მისი თანამედროვე სასახლეა, ზოოპარკით, საადაც კენგურუები, პინგვინები და ლემურები ბინადრობენ," - წერს "ფიგაროს" ჟურნალისტი.

იზაბელ რასელის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ქარიშხალივით შეიჭრა და წინასაარჩევნო კამპანიის სამსახურში ჩართო საკუთარი უზარმაზარი ქონება - **"ფორბსის" თანახმად, 6.4 მილიარდი დოლარი, რაც საქართველოს ბიუჯეტზე (5,7 მილიარდი დოლარი) მეტია,"** - შენიშნავს რასელი და დასძენს, რომ ეკლესიის მიერ მხარდაჭერილმა ოლიგარქმა ოპოზიციის ნაწილი გააერთიანა და 27 მაისს თბილისის ქუჩებში ათობით ათასი დემონსტრანტი გამოიყვანა.

"56 წლის მილიარდერმა თავისი შეუზღუდავი ფინანსური შესაძლებლობებით რამდენიმე თვეში შეძლო ქვეყანაში პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაცია და თავი გაითავისუფლა პროფესიონალური ეთიკის წესებისგან. ის არ იშურებს საჩუქრებს, ტელევიზორებს, ჭურჭლის სარეცხ და სარეცხ მანქანებს თავისი მშობლიური რაიონის მცხოვრებთათვის. ქუთაისის მცხოვრებლებს "ოცნების ბარათებზე" ისეთი სურვილების მითითება შესთავაზეს, რომელთა ახდენაც 600 ევროზე მეტი არ ეღირება," - ყვება იზაბელ რასელი და აღნიშნავს, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები ოლიგარქს საჯარო მოხელეების მოსყიდვის მცდელობებში ადანაშაულებენ. ფრანგი ჟურნალისტის აზრით, ივანიშვილის წინასაარჩევნო პროგრამა მოსკოვისკენ არის მიმართული. რასელის შეფასებით, "ქართული ოცნების" ლიდერს საქართველოს ნატო-სგან ჩამოშორება და რუსეთთან დაახლოება სურს, ამას კი ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის გადაწყვეტის ერთადერთ საშუალებად მიიჩნევს. "ფიგაროს" მიმომხილველს სტატიაში ივანიშვილის სიტყვები მოჰყავს, სადაც ბიზნესმენ-პოლიტიკოსი ამბობს, რომ რუსეთის ულტიმატუმი მკაფიოა: ნატო ან დაკარგული ტერიტორიები.

"როდესაც მან საარჩევნო კამპანიის დაფინანსებისთვის საკუთარი აქტივების ნაწილის გაყიდვა გადაწყვიტა, ეს პროცესი ვლადიმირ პუტინთან დაახლოებულ პირებს შორის ხორციელდებოდა," - წერს ფრანგი ჟურნალისტი. ის მიხელ სააკაშვილის იმ ციტატასაც იშველიებს, სადაც პრეზიდენტი ამბობს, რომ **"რუსი ოლიგარქები, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება არ სწყალობს, ცუდად ამთავრებენ. ისინი ან ნადგურდებიან, ან იძულებით ემიგრაციაში მიდიან. შეუძლებელია ამხელა ფულის შენარჩუნება და ეკონომიკური იმპერიის გაფართოება ხელისუფლებისადმი ერთგულების გარეშე."** რასელის ინფორმაციით, ამ მომენტისთვის, საზოგადოებრივი კვლევების თანახმად, ივანიშვილი აგებს, თუმცა მან ახლახან დაიწყო საკუთარი რესურსების ხარჯვა.

"ფიგაროში" გამოქვეყნებული მეორე სტატია კი ლორა მანდევილის ეკუთვნის. ის წერს, რომ პრეზიდენტობის მილიარდერმა კანდიდატმა ბიძინა ივანიშვილმა შეერთებულ შტატებში რამდენიმე ლობისტური კომპანია დაიქირავა, რათა თავის მეტოქე მიხეილ სააკაშვილს პოზიციები შეურყიოს. მანდევილის თქმით, ივანიშვილს იანვრის შემდეგ ვაშინგტონში, ყველაზე სოლიდური კომპანიებისთვის უკვე, დაახლოებით, მილიონი დოლარი აქვს გადახდილი.

"მრავალრიცხოვან შუამავლებს შორის, ავტორიტეტულმა ფირმამ Patton Boggs-მა 2012 წელს უკვე დახარჯა 510.000 დოლარი. კომპანიების National Strategies-ს და BGR Group ბიუჯეტი ქართველი კლიენტისთვის კი, შესაბამისად, 160.000 დოლარი და 180.000 დოლარია. ეს უჩვეულოდ დიდი ციფრია უცხოური ოპოზიციური პარტიისთვის," - წერს მანდევილი.

მასვე მოჰყავს მთავრობის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების Podesta-ს და Orion Strategies ყოველთვიური ჰონორარი - 50.000 დოლარი და 45.000 დოლარი.

სტატიის დასასრულს "ფიგაროს" მიმომხილველი აღნიშნავს, რომ უფროსი რუსი ძმის მუდმივი ყურადღების ფონზე, სააკაშვილის მთავრობისთვის ამერიკასთან ურთიერთობა გადარჩენის საშუალებად იქცა.

"მართალია, უმცროსი ჯორჯ ბუშის დროს ეს ურთიერთობა გაცილებით მჭიდრო იყო, მაგრამ თბილისის მხარდაჭერას, რომელიც რეგიონში "საუკეთესო მოწაფედ" მიიჩნევა, პრეზიდენტი ობამაც განაგრძობს. თეთრ სახლს სურს, რეჟიმი დემოკრატიზაციის გზით წავიდეს, განსაკუთრებით რეგიონებში. საქართველოს ხელისუფლება კი, თავის მხრივ, აცხადებს, რომ სრული გამჭვირვალობის ადვოკატირება ნაივური მიდგომაა, რითაც შეიძლება, მოსკოვის "მხარდაჭერას" გზა გაეხსნას და დასავლური პროექტი ჩაიშალოს," - წერს ლორა მანდევილი.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"მასთ ქერი" - ინიციატივა პარლამენტის თავმჯდომარემ აიღო

პირველი გვერდიდან

საბოლოო ჯამში, ეს არჩევნების ძალიან მაღალი სტანდარტით ჩატარებას ემსახურება," - აცხადებს დავით ბაქრაძე.

ბაქრაძემ მთავარ კითხვას თვითონვე უპასუხა: **"შეიძლება, გაჩნდეს კითხვა - რატომ საარჩევნო პერიოდში? პასუხი მარტივია, ზოგადად საკაბელო მაუწყებელს და სატელევიზიო მაუწყებელს შორის ნებისმიერი მოლაპარაკება კერძო, კომერციული მოლაპარაკებაა. ამიტომ, სახელმწიფო, ბუნებრივია, კერძო ბიზნესების ურთიერთობებში მინიმალურად უნდა ერეოდეს, მაგრამ საარჩევნო პერიოდი, თავისი შინაარსით, სპეციფიკურია. საზოგადოების ინფორმირებულობა და ინფორმაციის თავისუფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს,"** - მიიჩნევს დავით ბაქრაძე.

კამპანიის "ეს შენ გეხება" მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები დავით ბაქრაძის ინიციატივას მიესალმებიან. როგორც "ეს შენ გეხებას" განცხადებაშია ნათქვამი, პარლამენტის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული ინიციატივის განხორციელება მნიშვნელოვან პოზიტიურ წვლილს შეიტანს თანაბარი წინასაარჩევნო გარემოს შექმნისა და ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციის ჩამოყალიბებაში. **"მივესალმებით ხელისუფლების მზადყოფნას, გადადგას კონკრეტული ნაბიჯები წინასაარჩევნო პერიოდში ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და თანასწორი მედიაგარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. იმედს გამოვთქვამთ, რომ გაჟღერებული ინიციატივა ადეკვატურად აისახება პარლამენტის მიერ ინიცირებულ კანონპროექტში,"** - ნათქვამია განცხადებაში.

დავით ბაქრაძის ინიციატივა კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმაც მოიწონა. **"კარგი იქნება, თუ ყველა საკაბელო ქსელის მეშვეობით ყველა სატელევიზიო არხი გადაიცემა. სირცხვილია, რომ "მე-9 არხს", "გლობალ ტვ"-ს გარდა, არავინ რთავს და "გლობალ ტვ"-ს დახურვასაც ასე გაფაციცებით ამიტომ ცდილობენ,"** - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

დაუგეგმავი დებატები პარლამენტში

პარლამენტში გუშინ საგაზაფხულო სესიის ბოლო გეგმიური პლენარული სხდომა გაიმართა. ფრაქციამ "ერთობა სამართლიანობისთვის" სიტყვით გამოსვლებისთვის რეგლამენტით გათვალისწინებული 30 წუთი კიდევ ერთხელ მოითხოვა, რასაც საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ანალოგიური სურვილი მოჰყვა. სხდომა დაუგეგმავ დებატებში გადაიზარდა.

დათო გამისონია

გამოსვლები ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრებმა პეტრე მამრაძემ, კარლო კოპალიანმა და ჯონდი ბაღათურიამ დაიწყეს. კოპალიანმა მე-7 მოწვევის პარლამენტის მუშაობის შეჯამებისას აღნიშნა, რომ ის საპარლამენტო ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე უღიმღამო, უფერული და მხოლოდ ერთი ადამიანის ახირებების უსიტყვოდ შემსრულებელ-დამკანონებელი.

კარლო კოპალიანმა კოლეგებს ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული კანონები გაახსენა და აღნიშნა, რომ სახელმწიფო რეკეტი სწორედ პარლამენტმა დააკანონა. **"სამწუხაროდ, ამ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების საფუძველზე ხელისუფლება ისე გათავხედდა, რომ გუშინ რამდენიმე კერძო კომპანიის წინააღმდეგ საბრძოლო ოპერაციები ჩატარდა. მათი ქმედება შემდეგ მიზანს ემსახურება - ჩვენ, ქართველები, სიმართლეს არ უნდა ვისმენდეთ და მხოლოდ ის უნდა დავიჯეროთ, რასაც მიშას ჯიბის ტელევიზიები ამბობენ!"** - აცხადებს ცაგერის მაჟორიტარი დეპუტატი.

კოპალიანის გამოსვლას საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ღიმილით შეხვდნენ. ნუგზარ წიკლაურმა ოპოზიციონერი დეპუტატი კარლო კოპალიანი "ქაჯანას" შეადარა. **"ყველას კარგად გვახსოვს პირველი 3 წელი, როდესაც კოპალიანი ვერ მეტყველებდა, ახლა მან ასე ამოიდგა ენა. ქაჯანების ქვეყანაც დამთავრდება და ვერავინ შეცვლის ქართველი ხალხის სწრაფვას და გადაწყვეტილებას, ჰქონდეს თავისუფალი ქვეყანა,** - ამბობს ნუგზარ წიკლაური და დასძენს, - **კომუნისტური, ნაცრისფერი კერპების ოცნება ჩვენს ქვეყანაში არასდროს ასრულდება. ოქტომბერში ქართველი ხალხი დაასრულებს რუსულ ოცნებას, რომლის უკანასკნელი ამოძახილიც პარლამენტში ისმის."**

სხდომის წამყვანის, ვიცე-სპიკერ გიგი წერეთლის შეფასებით, **"4 წელს მთლად უქმად არ ჩაუვლია. 4 წლის მიწურულს ზოგმა დეპუტატმა მწყობრი გამოსვლები შეძლო, შინაარსზე არაფერს ვამბობ. მაინც დრო დასჭირდა, რომ ჩვენი კოლეგების ერთი ნაწილი ამ დონემდე მისულიყო და პარლამენტის ტრიბუნიდან გამოსვლა შეძლებოდათ. ესეც ამ პარლამენტის გარკვეული დამსახურებაა."**

"ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ თავისი 10-წუთიანი სიტყვის დასაწყისში გიგი წერეთელს კოლეგის პატივისცემისკენ მოუწოდა.

"გიგი წერეთლისგან განსხვავებით, დეპუტატები კარლო კოპალიანი და რომან მარსაგიშვილი [ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატი] **შრომობენ და წერეთლის მსგავსად მიკროფონთან პოზიორობით არ არიან დაკავებულნი,** - შენიშნა ჯონდი ბაღათურიამ და ვიცე-სპიკერს მიმართა, - **გიგი, შენი ავტორიტეტი მიწასთან არის გასწორებული, მათ კი ხალხი პატივს სცემს. ქუჩაში გაიარეთ და ნახავთ."**

ბაღათურიას გიგი წერეთელმა მიკროფონი გაუთიშა. შემდეგ კი ბაღათურიასთან ძველი ნაცნობობა გაიხსენა - პარლამენტარობამდე, როცა თბილისის საკრებულოს წევრები იყვნენ. **"ჯონდი ბაღათურია ერთი მოკრძალებული დეპუტატი იყო, დიდი ამბიციებით. გარკვეული ამბიციები დაიკმაყოფილეთ, მაგრამ ცოტა ზღვარს გადადიხართ ხოლმე იმისთვის, რომ კამერებთან იპოზიოროთ. აქ კამერები რომ არ იყოს, ხმას არ ამოიღებდით,"** - მიმართა წერეთელმა ბაღათურიას.

ბაღათურიას, მისი დაჟინებული მოთხოვნით, წერეთელმა მიკროფონი ჩაურთო. ოპოზიციონერმა დეპუტატმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ აჭარის ხელახლა დაკარგვის საფრთხე რეალურია. როგორც ჯონდი ბაღათურია ამტკიცებს, თურქეთის 25 000 მოქალაქეს აჭარაში საქართველოს მოქალაქეობა მიენიჭა. ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებს კი, როგორც ბაღათურია შენიშნავს, მოახლოებული არჩევნების დროს აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება ექნებათ.

ბაღათურია კიდევ ერთ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას. **"დიდი აგიტაცია-პროპაგანდაა გაჩაღებული თურქეთისა და აჭარის ტერიტორიების შესახებ - თითქოს, აჭარა თურქეთის ნაწილია. თურქეთის ხელისუფლება, რომელიც დემოკრატიულია და რომელთანაც კეთილმეზობლური თანამშრომლობა ძალიან გვჭირდება, ამაზე არ საუბრობს, მაგრამ ამის შესახებ თურქეთში ძლიერი პოლიტიკური ძალები ხმამაღლა აცხადებენ,** - ამბობს ჯონდი ბაღათურია, - **ჩვენი ხელისუფლების ასეთი სამარცხვინო, მოღალატეობრივი სიჩუმე სახელმწიფოსთვის სახიფათოა."**

ჯონდი ბაღათურია იმ საბაბს იხსენებს, რომელიც 2008 წელს რუსეთმა საქართველოში შემოჭრისთვის გამოიყენა. **"მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში პასპორტები დაარიგა, რუსეთის საოკუპაციო ჯარი იქაური მოსახლეობის დასაცავად შემოიჭრა. თურქეთის მომავალ არჩევნებში რადიკალურმა ძალებმა რომ გაიმარჯვონ, შეიძლება, ეს მეთოდი გამოიყენონ,"** - ამბობს ჯონდი ბაღათურია.

ბაღათურიამ დეპუტატებს მიმართა: **"ბატონებო, ჩვენ ვკარგავთ აჭარას. მისი ხელახლა დაკარგვის საფრთხე რეალურია."** მისი ინფორმაციით, დღეს ბათუმში, 19:00 საათზე, იუნკერების საფლავზე აქცია გაიმართება. დეპუტატმა "სახალხო კრებასა" და კოალიცია "ქართულ ოცნებაში" შემავალ პარტიებს, ასევე აჭარიდან არჩეულ მაჟორიტარ დეპუტატებს, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, აქციაზე მისვლისკენ მოუწოდა.

როგორც კი ოპოზიციონერი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მასთან ვიცე-სპიკერი, ხულოს მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ბოლქვაძე მივიდა და მისი გამოსვლა გააპროტესტა. რამდენიმეწუთიანი შელაპარაკების შემდეგ ვითარება მანდატურმა განმუხტა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა ყველაზე დიდი გაღიზიანება პეტრე მამრაძის სიტყვას მოჰყვა. მამრაძემ გამოსვლის დასაწყისში პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლებას ავტორიტარული კლეპტოკრატია, ასევე ხაზინის ქურდების ავტორიტარული რეჟიმი უწოდა, ხოლო შემდეგ კიდევ ერთხელ შეეხო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საკითხს. მისი თქმით, 2008 წლის 17 აპრილს საქართველოში აშშ-ს მაშინდელმა ელჩმა ჯონ ტეფტმა მიხეილ სააკაშვილს პრეზიდენტ ბუშის წერილი გადასცა. **"წერილში ნათქვამი იყო, რომ თუ სააკაშვილი სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურას დაიწყებს, მარტო დარჩება, არავინ დაეხმარება და ის მოხდება, რაც გარდაუვალია. ასეც მოხდა,** - განაცხადა პეტრე მამრაძემ, - **ასეთია სინამდვილე, რომლის შედეგად საქართველომ ახალგორის რაიონი და ქსნის ხეობა, კოდორის ხეობა დაკარგა. სააკაშვილი აცხადებდა, რომ ეს ის პლაცდარმია, საიდანაც სოხუმი ხელის გაწვდენაზეა და აფხაზეთის მთავრობას ეუბნებოდა: მალე სოხუმში გადახვალთო."** როგორც მამრაძე ამბობს, ყველამ იცის, ახლა დევნილები "წეროვანის გეტოში" რა მდგომარეობაში არიან.

პეტრე მამრაძის სიტყვა ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარის მოადგილემ ელდარ კვერნაძემ გააპროტესტა. მან ტრიბუნიდან ჩამოსულ მამრაძეს მოღალატე უწოდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი შოთა მალაშხია პეტრე მამრაძის გამოსვლის დაგმობით არ დაკმაყოფილდა და მის პირადულსაც შეეხო.

"ერთმა ჩვენმა კოლეგამ თქვა, რომ პეტრე მამრაძე თავისი გვარის უკანასკნელი მამაკაციაო. ამ საკითხზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ეს ადამიანები საქართველოსთვის მტკივნეულ ტერიტორიულ მთლიანობას ეხებიან, - ამბობს შოთა მალაშხია, - **ამ ადამიანებს, პატრონთან ერთად, რომლის რუსული ოცნება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის გაფორმებაა, ამ საკითხებზე საუბარი ევალებათ. მათი ბოლო შანსი ის არის, რომ პუტინი საქართველოში ჩამოვიდეს და კენჭი იყაროს. თუმცა, კასპელი დედის მიუხედავად, პუტინი საქართველოს მოქალაქეობას ვერ მიიღებს."**

ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას პარლამენტში მომავალ კვირას მინისტრების მოწვევა მოითხოვა. **"მთავრობამ მოსახლეობას უნდა აუხსნას, როგორ წარმოუდგენია სოფლის მეურნეობის გადარჩენის გზად ქალაქ "ლაზიკის" აშენება და იქ სოფლიდან აყრილი მოსახლეობის ჩასახლება,"** - აცხადებს ლევან ვეფხვაძე.

ვეფხვაძის მტკიცებით, ახლანდელი მინისტრები იმდენად არაპოპულარულები არიან, რომ **"ნაციონალურ მოძრაობას" მათი გამოჩენის ერიდება და ეშინია. "მოვიწვიოთ ეს "მზეთუნახავი" თუ "კამერაუნახავი" მინისტრები,"** - მიმართავს საპარლამენტო უმრავლესობას ვეფხვაძე.

"ხელისუფლებას შეხვედრებზე, მინისტრების ნაცვლად, ყველგან პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაჰყავს, რომელიც დღითიდღე არაადეკვატური ხდება," - ამბობს ვეფხვაძე.

მინისტრების მოწვევის შესახებ ლევან ვეფხვაძის მოთხოვნას საპარლამენტო უმრავლესობა ჯერჯერობით არ გამოხმაურებია.

ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრების გამოსვლებსა და "ქრისტიან-დემოკრატების" ხედვას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი ეხმიანება. მისი თქმით, "ქრისტიან-დმეოკრატები" 3-მილიარდიანი პროექტის შესახებ საუბრობენ, ამბობენ, რომ იციან, როგორ ააყვავონ კოოპერაციები. **"კოოპერაციებისთვის 3 მილიარდის გასროლა, საბოლოოდ, კორუფციით დამთავრდება. ამის ნაცვლად, ზუსტად უნდა იყოს გათვლილი, რისი ათვისება შეიძლება სოფლის მეურნეობის სფეროში,"** - ამბობს დავით დარჩიაშვილი.

დარჩიაშვილი გამოსვლის მეორე ნაწილში ფრაქციის "ერთობა სამართლიანობისთვის" წევრებს შეეპასუხა. **"მივმართავ იმ ფრაქციას, რომელიც პარლამენტში არსებითად "ქართული ოცნების" და მისი სატელიტი დაჯგუფებების წარმომადგენლობაა. რასაც ჯერ ბატონი მამრაძე და შემდეგ ჯონდი ბაღათურია საუბრობენ, ეს არის არა ილუზიები და ფანტაზიები, არამედ ერთი - უტიფრობა და მეორე - დეზინფორმაცია. ჯერ ცარისტულ და შემდეგ ბოლშევიკურ რუსეთში განვითარებული ტექნოლოგიაა იმის შესახებ, როგორ მოატყუო ადამიანი. ტერმინი "დეზინფორმაცია" რუსეთში შეიქმნა და შემდეგ საერთაშორისო არენაზე დამკვიდრდა. მისი არსი ის არის, რომ ინფორმაციის ობიექტურ ნაწილს იღებ და მას, კონტექსტიდან ამოგლეჯილად, რასაც გინდა, დაამატებ. ქმნის შთაბეჭდილებას, თითქოს ხელში რაღაც გიჭირავს. ამის კლასიკური მაგალითები იყო მამრაძისა და ბაღათურიას გამოსვლები,"** - ამბობს დარჩიაშვილი.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის თქმით, პეტრე მამრაძემ ცალმხრივად ისაუბრა ტალიავინის დასკვნის შესახებ, რომელიც წინააღმდეგობრივია.

რაც შეეხება ბაღათურიას გამოსვლას, დავით დარჩიაშვილის თქმით, ჯონდი ბაღათურია ციდან ჩამოვარდნილი, თურქი ეროვნების 25 000 მოქალაქის შესახებ საუბრობს. **"ჯონდი ბაღათურიას ლაპარაკის სტილი დეზინფორმაციას და უტიფრობას გასცდა. კანონი მიუთითებს, რომ ქსენოფობიური და ეთნიკური ნიშნით შუღლის ჩამომგდები განცხადებების გაკეთება დაუშვებელია. ემატება ამას დეზინფორმაცია: გაუგებარია, საიდან მოიტანა ბაღათურიამ ინფორმაცია აჭარაში 25 000 ახალი მოქალაქის შესახებ. სინამდვილეში, საქართველოს ორმაგი მოქალაქეობა დაახლოებით, 2 000-მა უცხოელმა მიიღო. აჭარასა და მთელ საქართველოში ბევრი ტურისტი ჩამოდის. თუ ბაღათურია იტყვის, რომ ისინი საქართველოს მოქალაქეები არიან, ვინმე ალბათ დაუჯერებს,"** - აცხადებს დავით დარჩიაშვილი.

შტეფან ფულე: "ასოცირების შესახებ მოლაპარაკებები ჯერ ისევ გრძელდება"

"აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის განვითარებისთვის ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტია მოლაპარაკებები აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთისა და მოლდავეთის ასოცირების შესახებ," - განაცხადა ევროკომისამრმა შტეფან ფულემ.

"აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის რეალიზაციაში ჩვენი მთავარი ინსტრუმენტია შეთანხმებები ასოცირების შესახებ, რომელიც მიმართულია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესაქმნელად შესაბამის რეგიონებში. საქართველოში, მოლდავეთში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ ჯერაც გრძელდება და ჩვენი პრიორიტეტი მისი განვითარების მაქსიმალური დაჩქარებაა, რათა 2013 წლის შემოდგომაზე, აღმოსავლეთის პარტნიორობის შემდგომი სამიტისთვის, ახლოს ვიყოთ მის დასასრულებლად ან სულაც მისი პარაფირება მოვახდინოთ," - განაცხადა ფულემ.

მან ასევე აღნიშნა, რომ ასევე ევროკავშირს მობილურობის სფეროში ფართო გეგმა გააჩნია, რომლის საბოლოო მიზანი უვიზო რეჟიმის დადგენაა.

"ჩვენ ასევე გავაგრძელებთ მჭიდრო თანამშრომლობას პარტნიორებთან სახელმწიფო მართვის განვითარების ყოვლისმომცველი პროგრამების მიხედვით, რომლებიც მიმართულია პარტნიორი ქვეყნების სახელმწიფო ორგანოების პოტენციალის გამყარებისკენ," - განაცხადა ფულემ.

მისივე თქმით, ევროკავშირის პრიორიტეტებშია სამოქალაო საზოგადოებასთან პარტნიორობის გაღრმავება და მათთვის ფინანსური თანადგომის გაზრდა, ასევე მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადება აღმოსავლეთის პარტნიორობის წევრი ქვეყნების ახალგაზრდებში, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ევროკავშირის საგანმანთლებლო პროგრამაში - "ერასმუსი ყველასთვის".

ცნობისათვის - ევროკომისარი შტეფან ფულზე საქართველოს ივლისის დასაწყისში ეწვევა.

ივანიშვილი დიპკორპუსს შეხვდა

ბიძინა ივანიშვილი საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შეხვდა.

დახურულ შეხვედრას, სხვა დიპლომატებთან ერთად, ესწრებოდნენ აშშ-ს ელჩი საქართველოში ჯონ ბასი, საქართველოში ევროკავშირის მისიის ხელმძღვანელი ფილიპ დიმიტროვი, დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯუდიტ გოფი, ჩეხეთის ელჩი ივან იესტრჟაბი და NDI-ს საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ლუის ნავარო.

ბიძინა ივანიშვილის თქმით, მან დიპლომატებს გააცნო ბოლო კვირის განმავლობაში განვითარებული მოვლენები, კერძოდ კი, ერთმანეთს სამი მოვლენა დაუკავშირა. დიპლომატებიდან

ჟურნალისტებთან კომენტარი მხოლოდ ჯონ ბასმა გააკეთა. მისი თქმით, აშშ-ს აზრით, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს ყველაზე კონკურენტუნარიან შესაძლო წინასაარჩევნო გარემოში.

"შევხვდი ბატონ ივანიშვილსა და "ქართული ოცნების" სხვა წარმომადგენლებს. ისინი შეწუხებულები იყვნენ ბოლოდროინდელი სასამართლო საქმეებით, რომლებიც მათ ზოგიერთ მხარდამჭერსა და ორგანიზაციას ეხებოდა. კონკრეტულ ბრალდებებზე კომენტარს არ გავაკეთებ, რადგან ზოგიერთი საქმე სასამართლოში ჯერ არ დასრულებულა. თუმცა ვიტყვი, რომ აშშ-ს აზრით, მომავალი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები უნდა გაიმართოს ყველაზე კონკურენტუნარიან შესაძლო წინასაარჩევნო გარემოში და ყველაზე თავისუფალი და სამართლიანი საარჩევნო ადმინისტრაციით. ამ ყველაფერს თან უნდა ახლდნენ შესაბამისი და ლეგიტიმური საერთაშორისო დამკვირვებლები. ჩვენ ყურადღებას ვაქცევთ ნებისმიერი მხარისგან ნებისმიერ ბრალდებას, რომლებიც ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც წინასაარჩევნო გარემო არ არის ყველაზე კონკურენტუნარიანი. ჩვენი აზრით, მთავრობებს აქვთ ლეგიტიმური უფლება და მიზეზი, დააწესონ შეზღუდვები პარტიების დაფინანსებაში, რათა თანასწორი წინაარჩევნო გარემო იყოს. თუმცა ეს შეზღუდვები გამჭვირვალედ და სამართლიანად უნდა აღსრულდეს და ასევე პოლიტიკურ ლანდშაფტზე გავლენა არ უნდა იქონიოს და პოლიტიკურ პროცესს ხელი არ უნდა შეუშალოს," - განაცხადა ჯონ ბასმა.

"ლეიბორისტები" ატესტატის აღებაზე ფასიანი მომსახურების შემოღებას აპროტესტებენ

"ლეიბორისტები" საჯარო სკოლის ატესტატის დაჩქარებული წესით აღების შემთხვევაში ფასიანი მომსახურების შემოღებას აპროტესტებენ. პარტიის წარმომადგენლებმა #1 კლასიკური გიმნაზიის ეზოში აქცია-ბრიფინგი გამართეს და ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

როგორც აქცია-ბრიფინგზე "ლეიბორისტული პარტიის" იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, ახლახან მიღებული გადაწყვეტილებით, მოსწავლეებმა საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ატესტატის ვადამდე აღების შემთხვევაში გარკვეული საფასური უნდა გადაიხადონ. ძაგანიას თქმით, აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს პირველ ნაბიჯს იმისთვის, რომ საშუალო განათლების მიღება ფასიანი გახდეს.

სიების კომისია მუშაობის ახალ ეტაპზე გადადის

მაგდა ლეკიაშვილი

ორთვიანი მუშაობის შემდეგ ამომრჩეველთა სიების დაზუსტების კომისიამ პროექტი "კარდაკარი" თითქმის დაასრულა. როგორც კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ლაშა მელაძე ამბობს, საქართველოში, 73-ვე საარჩევნო ოლქში "კარდაკარის" საველე სამუშაოები დასრულებულია. მთელი სამუშაო პროცესის მანძილზე კომისიის რეგისტრატორებს მნიშვნელოვანი პრობლემები არ შექმნიათ, მცირე დაბრკოლებებს კი კომისია მოკლე ვადაშე აგვარებდა. კომისიას მოუწია რეგისტრატორების შეცვლა, რომლებმაც "კარდაკარის" მიმდინარეობისას ოჯახებში სიარულზე უარი სხვადასხვა მიზეზების გამო თქვეს. სახელმწიფო უწყება ახლა საბოლოო მონაცემებს რეგიონებიდან ელოდება, რომლებიც მონაცემთა ერთიან ბაზაში მომავალი კვირიდან აისახება. ლაშა მელაძის ინფორმაციით, შემდეგი კვირიდან კომისია მუშაობის ახალ ეტაპზე გადადის, რაც გულისხმობს რამოდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიების განხორციელებას - კერძოდ, პრობლემური მისამართების გამომ. კომისია ასეთ მისამართზე ამომრჩეველს დამატებით შეისწავლის და კიდევ ერთხელ გადაამოწმებს.

"ეს ეხება მისამართებს, სადაც ერთ ადგილზე 10-ზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. კომისიას აქვს დამატებით რესურსი, რათა აღნიშნულ მისამართზე ამ ხალხის ცხოვრების ფაქტი გადაამოწმოს. შესაბამისად, გამოკვეთოს პრობლემები, რომლებიც არჩევნებამდე შესაბამის უწყებებთან ერთად მუშაობით აღმოიფხვრება," - აცხადებს მელაძე. მისივე თქმით, კომისიის მხრიდან განსახორციელებელი მეორე სამუშაო რეგისტრატორების მონიტორინგია. საქართველოს მასშტაბით შემთხვევითი შერჩევის მეთოდით რამდენიმე უბანზე კომისიის წარმომადგენლები კიდევ ერთხელ მივლენ და გადაამოწმებენ, იყვნენ თუ არა მათთან მისულები რეგისტრატორები სიების დასაზუსტებლად. ამით კომისია დაადგენს, რა ცდომილებაა შესაძლებელი "კარდაკარის" შედეგად მიღებულ მონაცემებში. მესამე, რაც კომისიამ უნდა გააკეთოს, განცხადებების სისტემატიზაციაა. სახელმწიფო უწყებაში შესულია 150-ათასამდე მოქალაქის განცხადება, რომლებიც ეხება გარდაცვალების ფაქტებს, საზღვარგარეთ ყოფნას და დაუდგენელ მისამართზე მცხოვრებ ამომრჩევლებს. კომისიის წევრებმა თითოეული განცხადება უნდა შეისწავლონ და სიაში ჩასწორებები შეიტანონ.

პარალელურად კომისია აგრძელებს კონსულტაციებს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტთან. სახელმწიფო უწყებას რამდენიმე საკანონმდებლო ინიციატივა აქვს, რომლის გათვალისწინებასაც დეპუტატები აპირებენ. ამ დროისთვის საკანონმდებლო ორგანოში სწორედ ამ წინადადებების მეორე მოსმენით განხილვა მიმდინარეობს. კომისიამ თავდაპირველად უფლებამოსილების გახანგრძლივება მოითხოვა, რათა არჩევნების დღეს მონიტორინგის უფლება ჰქონოდათ - ანუ ერთმანეთისთვის შეედარებინათ "კარდაკარის" შედეგად ფორმირებული და საარჩევნო უბნებზე არსებული სიები. თუ კომისიას მხოლოდ ერთიანი სიის შექმნის უფლება ექნებოდა, მუშაობის ვადა არჩევნებამდე 14 დღით ადრე ამოეწურებოდა, რადგან ამომრჩეველთა სია ცვლილებების შესატანად არჩევნებამდე 14 დღით ადრე დაიხურება. პარლამენტში სიების დაზუსტების კომისიის ინიციატივა გაითვალისწინეს. მეორე წინადადება, რომელიც კომისიის თავმჯდომარემ მამუკა კაციტაძემ წარადგინა, საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხებოდა. პარლამენტმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოში არიან დაბადებულნი და ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოში ცხოვრობენ, ყველა ის უფლება მისცა, რაც საქართველოს მოქალაქეებს აქვთ. არსებული ჩანაწერის მიხედვით, ამ კატეგორიის ადამიანებს არჩევნების დღეს ხმის მიღების შესაძლებლობა მხოლოდ თბილისის 1-ელ საარჩევნო ოლქში, მთაწმინდაზე ჰქონდათ. კაციტაძის ინიციატივა იყო, რომ მათ ხმა მიეცათ იქ, სადაც ბოლო 5 წელია, ცხოვრობენ ან სადაც დაიბადნენ. კომისიისა და პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეების შეხვედრის შემდეგ გადაწყდა, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეს, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებით დადგენილ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს, ამომრჩეველთა ერთიან სიაში ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ჩაწერენ.

ნდობის ჯგუფი საპატიმროებში წინასაარჩევნო კამპანიას გააკონტროლებს

მაგდა ლეკიაშვილი

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებს შეხვდა. მხარეებმა იმსჯელეს, თუ როგორ შეიძლება უზრუნველყონ საპატიმროებში თავისუფალი არჩევნების ჩატარება. გასული წლის დეკემბერში საარჩენო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის (ვისაც 3-დან 5 წლამდე აქვს მისჯილი) დაკავებულებმა ხმის მიცემის უფლება მიიღეს. ცესკო-ს კი საპატიმროებში წინასაარჩევნო აგიტაციის პირობების დადგენა დაევალა. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილის ინფორმაციით, სასჯელაღსრულების ყველა დაწესებულებაში მინიმალური ფართობი გამოიყოფა, სადაც პოლიტიკური პარტიების სააგიტაციო მასალები განთავსდება. იქვე მიიღებენ პატიმრები დეტალურ ინფორმაციას საარჩევნო პროცედურების შესახებ. სასჯელაღსრულების მინისტრის მოადგილე გიორგი მასკარაშვილი კი აღნიშნავს, რომ სამინისტრო ასეთი ადგილების გამოყოფას უზრუნველყოფს. მისი განმარტებით, სასჯელაღსრულების ღია და დახურული დაწესებულებები არსებობს. ღია დაწესებულებებში შეიძლება, რამდენიმე საინფორმაციო სტენდი იმ ადგილას დაიდგას, სადაც პატიმრები სეირნობენ. ხოლო დახურული ტიპის საპატიმროებში ერთი კონკრეტული ადგილი გამოიყოფა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც პატიმრებს ხმის მიცემაში უშლის ხელს - მსჯავრდებულებს არა აქვთ პირადობის მოწმობები. თუმცა, ამ პრობლების მოგვარებასაც სასჯელაღსრულების დაწესებულება უზრუნველყოფს. მას, ვისაც პირადობა სახლში ან სასამართლოში აქვს, ამ დოკუმენტს არჩევნების დღეს მიაწვდიან.

"საკითხი დავაყენეთ და დადებითად წყდება. პირადობას წინასაარჩევნოდ ყველა პატიმარს მისცემენ. ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათი საარჩევნო უფლების რეალიზაციას და ჩვენი პატიმრების უფლებებს ეუთო-ს მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოიყვანს,"- აცხადებს ცესკო-ს თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილი.

მისივე თქმით, ცესკო-სა და პოლიტიკური პარტიების კიდევ ერთი, ერთობლივი რეკომენდაციაა, შეიქმნას ნდობის ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიას მონიტორინგს გაუწევს. თუმცა, როგორც სასჯელაღსრულების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი, ეს ჯგუფი მინიმალური შემადგენლობის უნდა იყოს. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ამბობენ, რომ ასეთ შემთხვევაში საჭიროა უსაფრთხოების მაქსიმალურად დაცვა და სწორედ ამიტომ, პატიმრებთან ბევრი ადამიანი ვერ შევა. ხარატიშვილის აზრით, მონიტორინგის ჯგუფში აუცილებლად უნდა იყოს თითო წარმომადგენელი საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, საარჩევნო ადმინისტრაციიდან, პოლიტიკური პარტიებიდან და, რა თქმა უნდა, ეუთო-დან. კონკრეტულ კანდიდატებზე მხარეები მომავალ შეხვედრაზე შეთანხმდებიან.

"დახურული დაწესებულებაა და იმ ტერიტორიაზე, სადაც პატიმრები მუდმივად გადაადგილდებიან, სხვისი შესვლა საკმაოდ შეზღუდულია. ამ თემაზე სასჯელაღსრულების დეპარტამენტთან ვმუშაობთ. გვინდა, შეიქმნას ნდობის ჯგუფი, რომელშიც ყველა დაინტერესებული მხარე იქნება წარმოდგენილი. ისინი სწორედ დახურულ ზონაში უნდა შევიდნენ და მოახდინონ მონიტორინგი, გამოკრულია თუ არა წინასაარჩევნო პლაკატები და ხელმისაწვდომია თუ არა პატიმრებისთვის. ეს ადვილი თემა არ არის, ვინაიდან საქართველოში პატიმრებს ხმის მიცემის უფლება პირველად ენიჭებათ," - განაცხადა ზურაბ ხარატიშვილმა.

პოლიციელთა როტაცია ჭორების საფუძვლად იქცა

ბოლო დღეებში გავრცელებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებიდან ორასამდე პოლიციელი პოლიტიკური მოტივით გაათავისუფლეს, სამინისტრომ გუშინ ოფიციალური პასუხი საგანგებოდ გავრცელებული განცხადებით გასცა, რომლის თანახმადაც, პოლიციაში როტაცია განხორციელდა.

"საპატრულო პოლიციაში რუტინული როტაციისთვის პოლიტიკური სარჩულის ძიების მცდელობა საფუძველს მოკლებული და გაუგებარია. როტაცია, ანუ სხვადასხვა რგოლისა და რანგის პოლიციელების პერიოდული გეოგრაფიული და სამსახურებრივი გადანაწილება, მუშაობის ეფექტურობის ზრდას ისახავს მიზნად. სამსახურებრივი გადანაწილებები აგრეთვე ახალი კადრების მიღების და ადგილზე ტრენინგის შესაძლებლობაა," - ნათქვამია განცხადებაში, რომელიც პოლიციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა. ამავე განცხადების თანახმად, საპატრულო და კრიმინალურ პოლიციაში მსგავსი პრაქტიკა პოლიციის რეფორმის პირველივე წლებში დამკვიდრდა და რეგულარულ ხასიათს ატარებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2011 წლის მაის-ივნისში როტაცია საპატრულო პოლიციაში შეეხო 194, ხოლო 2012 წლის მაის-ივნისში 150 პოლიციელს. სახაზო საპატრულო პოლიციიდან 35 თანმშრომელი გადავიდა მეტროპოლიტენის სამმართველოში, ხოლო იქიდან 20 - სახაზო სამმართველოში. დაინიშნა პოლიციის აკადემიის 8 ახალი კურსდამთავრებული.

"32-მა ამჟამად უკვე ყოფილმა პოლიციელმა უარი თქვა შეთავაზებულ სამსახურებრივ როტაციაზე და დატოვა სამსახური," - აღნიშნულია შსს-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში.

პოლიციელების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის ავტორებს, შინაგან საქმეთა სამინისტროში გუშინ გამართულ ბრიფინგზე პასუხი მინისტრის მოადგილე ეკა ზღულაძემაც გასცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის განცხადებით, როტაციების მიზანი არის მხოლოდ თანამშრომლების გადახალისება, ბიუროკრატიული მოდუნების თავიდან აცილება და ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფა.

"ამჟამად უკვე ყოფილმა პოლიციელებმა, წინასწარი პოლიტიკური კავშირების გამო ამ როტაციაში მონაწილეობა არ ისურვეს, პოლიცია დატოვეს და ამ ფაქტისგან პოლიტიკური სკანდალის აგორებას შეეცადნენ. ეს მცდელობა დარჩება მცდელობად, ანუ შეუმდგარ ცდად. საქართველოს პოლიციას აქვს ხალხის ნდობა, რადგან საზოგადოებამ იცის, რომ პოლიცია ემსახურება არა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ ჯგუფს ან პიროვნებას, არამედ - სახელმწიფოს და ხალხს," - განაცხადა ეკა ზღულაძემ.

ოლიგოპოლიური ფარმაცევტული ბაზარი

პირველი გვერდიდან

საერთაშორისო ფონდ "კურაციოს" მიერ ჩატარებულ ბოლოდროინდელ კვლევაზე დაყრდნობით, "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევარი აცხადებს, რომ გასული სამი წლის განმავლობაში მედიკამენტების ფასების შემცირების მიუხედავად, სინამდვილეში წამლების მხოლოდ მცირედი ნაწილის ფასმა დაიკლო. **"2009-2011 წლებში მედიკამენტებზე არსებული ერთეულის საშუალო ფასი შემცირდა, რაც განსაკუთრებით საგრძნობი იყო 2011 წელს. ამის მიუხედავად, მონაცემთა ანალიზი გვაჩვენებს, რომ ფასების კლება ორიგინალი ბრენდების მხოლოდ 27 პროცენტს და ყველაზე დაბალფასიანი გენერიკების 21 პროცენტს შეეხო, დანარჩენი მედიკამენტების ფასები კი გაიზარდა. ამ შედეგების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ მედიკამენტების სამი მეოთხედის ფასები გაიზარდა,"** - ამბობს "საერთაშორისო გაჭვირვალობა - საქართველოს" ანალიტიკოსი ხერარდ დებური.

ანგარიშის თანახმად, აფთიაქებში ფასების შემცირება ეტაპობრივად 2009 წლიდან დაიწყო. ამ დროს ბაზარზე მიმზიდველი ფასებით ახალი მოთამაშე "ფარმადეპო" დიდი ფორმატის აფთიაქებით გამოჩნდა.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" მკვლევარის განცხადებით, კომპანია ABC-ის სააფთიაქო ქსელ "ფარმადეპოში" მოქალაქეებს პრეპარატების 20-25-პროცენტიანი ფასდაკლებით შეძენა აფთიაქების გახსნის დღიდანვე შეეძლოთ. ამიტომ ფარმაცევტულმა კომპანიებმა "ავერსმა", "პეესპემ" და "ჯიპისიმ" საკუთარ აფთიაქებში პრეპარატებზე ფასების შემცირება დაიწყეს.

"საერთაშორისო - გამჭვირვალობა საქართველოს" დასკვნას ფარმაცევტული კომპანია "ავერსის" დამფუძნებელი პაატა კურტანიძე არ ეთანხმება. **"2009 წლიდან დღემდე ჩვენთან მედიკამენტები საშუალოდ 30 პროცენტით გაიაფდა. სამწუხაროდ, ამ კვლევაში არც ერთი კონკრეტული მაგალითი არ არის მოყვანილი - რა ფასი იყო ზოგიერთ წამალზე და დღეს რა ფასში იყიდება. მთელი რიგი პრეპარატები სამჯერ გაიაფდა. მაგრამ ეს გამოიწვია არა იმან, რომ საბითუმო კომპანიებს დიდი დარიცხვები ჰქონდათ და ახლა ეს დარიცხვები შემცირდა, არამედ ახალმა კანონმა. თუ ადრე მწარმოებლისგან პრეპარატი მხოლოდ ერთი შეფუთვით უნდა შემოგვეტანა, ახლა ნებისმიერი შეფუთვით შემოტანაა შესაძლებელი. ამიტომ, მაგალითად, "ფორტუმს" "გლაქსოსგან" ინგლისში შვიდ დოლარ-ნახევრად რომ ვყიდულობდით, დღეს იგივე "გლაქსოს" ნაწარმს ლატვიაში ორ დოლარ-ნახევრად ვყიდულობთ. თავისთავად ცხადია, რომ ეს პრეპარატი ახლა გაიაფებულია. ახალი კანონის შედეგად მედიკამენტებს გაცილებით იაფად ვყიდულობთ, ვიდრე აქამდე შეგვეძლო ამის გაკეთება, შესაბამისად, ჩვენ პრეპარატები საკმაოდ გავაიაფეთ,"** - ამბობს პაატა კურტანიძე.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანალიტიკოსის განცხადებით, საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე ოლიგოპოლიაა, დომინირებს რამდენიმე დიდი კომპანია, რომლებიც იმპორტის/დისტრიბუციის, საცალო ვაჭრობისა და წარმოების სექტორებს აკონტროლებს. ეს კომპანიებია: "პეესპე", "ავერსი" და "ჯიპისი". ანგარიშში საუბარია სახელმწიფოსა და ფარმაცევტულ კომპანიებს შორის მჭიდრო კავშირზე და მაგალითისთვის ფარმაცევტული კომპანია "პეესპეს" დამფუძნებელი კახაბერ ოქრიაშვილია დასახელებული, რომელიც საქართველოს პარლამენტის წევრია. **"მთავრობას, მმართველ პარტიასა და მსხვილ ფარმაცევტულ კომპანიებს შორის, როგორც ჩანს, მჭიდრო კავშირები არსებობს. ის პოლიტიკა, რომელიც ფარმაკობაზარზეა შექმნილი, პირდაპირი ფორმით ბიზნესინტერესებს ემსახურება. ბოლო არჩევნების დროს ამ კომპანიების მიერ პარტიის ხაზინაში დიდი მოცულობის შენატანები გაკეთდა. ეს ციფრები არსებობს,"** - განაცხადა "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" ანალიტიკოსმა ხერარდ დებურიმ.

მისი თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც ექიმების მიერ პაციენტისთვის მედიკამენტის დანიშვნა მოტივირებულია დიდი ფარმაცევტული კომპანიების გარკვეული, და მათ შორის ფინანსური, შეთავაზებებით.

ანგარიშში აღნიშნულია, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში ხარისხის კონტროლის პრაქტიკა და გაიდლაინები ხშირად არ არსებობს ან ძალზე ბუნდოვანია. **"სააგენტოს საქმიანობაში ერთ-ერთმა კარგად ჩახედულმა პირმა განგვიცხადა, რომ ლაბორატორიამ, რომელთანაც მთავრობას შემოწმებების ჩასატარებლად კონტრაქტი ჰქონდა დადებული, ამის გაკეთება ვერ შეძლო, რადგან მისთვის მედიკამენტების შეფასების არანაირი სტანდარტები არ მიუწოდებიათ. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს, რომელიც პასუხისმგებელია მედიკამენტების ხარისხის კონტროლზე, როგორც ჩანს, თავისი როლის ეფექტიანად შესრულებისთვის საჭირო რესურსები არ აქვს. არის კიდევ ერთი პრობლემა - როგორც სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია, ისე მისი პრაქტიკა, კონფიდენციალურია და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი არ არის. მთავრობის მიერ მედიცინის რეგულირებას შეზღუდული ხასიათი აქვს და ის მედიკამენტების ხარისხზე არც პირდაპირ და არც ირიბ პასუხისმგებლობას არ იღებს. მართალია, ხარისხის კონტროლის პროცესი საზოგადოებისთვის ევროპაშიც დახურულია, მაგრამ იქ ამ სფეროზე სრულ პასუხისმგებლობას მთავრობები იღებენ,"** - ამბობს ხერარდ დებური.

თუ ათწლეულების წინ საქართველოში ფარმაცევტულ ბაზარს სახელმწიფო აკონტროლებდა, ახლა ის კერძო კომპანიების ხელშია. თავდაპირველად ქართულმა კომპანიებმა მედიკამენტების იმპორტი დაიწყეს, შემდეგ კი ადგილობრივ წარმოებაზე გადავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ფარმაცევტული წარმოება ახალი დაწყებულია, ბაზარი სწრაფი ტემპით ვითარდება, თუმცა "პეესპე", ავერსი" და "ჯიპისი" დღეისათვის, ძირითადად, იმპორტირებულ პროდუქციას ყიდიან..

საქართველოს ადგილობრივი ფარმაციის სექტორი 70 მწარმოებლისაგან შედგება და მის 90-პროცენტიან წილს "ჯი-ემ-პი" და "ავერსი-რაციონალი" ფლობენ. ადგილობრივი წარმოება 2004-2010 წლებში წელიწადში საშუალოდ 46 პროცენტით იზრდებოდა. ადგილობრივი წარმოების მოცულობამ 2010 წელს 90,2 მილიონი ლარი შეადგინა, მაშინ როდესაც 2006 წელს ის 22,1 მილიონი ლარი იყო.

საქართველოში წარმოებული მედიკამენტების ადგილობრივი გაყიდვების მოცულობა წელიწადში 38 პროცენტით იზრდება. ჩვენთან წარმოებული ფარმაცევტული პროდუქციის 60 პროცენტი სხვა ქვეყნებში იყიდება. ქართული მედიკამენტების სამი ყველაზე მსხვილი შემსყიდველი აზერბაიჯანი, სომხეთი და უზბეკეთია.

რაც შეეხება ბაზრის წილებს, ფარმაცევტული პროდუქტების იმპორტის 24 პროცენტი "ავერსს" უკავია, 23 პროცენტი - "პეესპეს", 12 პროცენტი - "ეიბისი ფარმაციას" იგივე "ფარმადეპოს", 11 პროცენტი - "ჯიპისის", 4 პროცენტი - "გეას", 3-3 პროცენტი - "მედისნერვს" და "ტონუსს", დარჩენილი 20 პროცენტი კი - სხვადასხვა არაქსელურ აფთიაქებს. აფთიაქების რაოდენობის მიხედვით, ფარმაცევტული კომპანიებიდან პირველ ადგილზე 213 აფთიაქით "ავერსია", მეორე ადგილს 170 აფთიაქით "პეესპე" იკავებს, მესამე ადგიულზე 44 აფთიაქით "ჯიპისია", შემდეგ ადგილებს 30-30 აფთიაქით "ეიბისი ფარმაცია" და "სახალხო აფთიაქი" ინაწილებენ. არაქსელური აფთიაქების რაოდენობა კი საქართველოში 1853-ია.

"ამ კვლევაში მოყვანილი რიცხვების უმრავლესობა მცდარია. ვფიქრობ, რომ კვლევის მიზანი ქართული წარმოების შეზღუდვაა. თავის დროზე, როდესაც უცხოელ პარტნიორებს ვუთხარით, რომ საქართველოში მედიკამენტების წარმოებას ვგეგმავდით, ყველას ძალიან ეწყინა, რადგანა არც ერთ უცხოელ მომწოდებელს არ სიამოვნებს, როდესაც ადგილობრივი წარმოება ვითარდება. სამწუხაროდ, ამ კვლევაშიც არის ადგილობრივი წარმოების წინააღმდეგ მიმართული მიზნები... რიცხვები არასწორია ბაზრის შეფასებაში, დარიცხვების პროცენტების შეფასებაში და ა.შ. არც ერთ უცხოურ ორგანიზაციას არ აწყობს ქვეყანაში ადგილობრივი წარმოების განვითარება, ვინაიდან ეს ხელს უშლის უცხოური პროდუქციის, ამ შემთხვევაში, მედიკამენტების რეალიზებას," - აცხადებს პაატა კურტანიძე.

ექსპერტების განცხადებით, რეგისტრაციის წესში არსებული ხარვეზის გამო, შესაძლებელია, ბაზარზე ფალსიფიცირებული ან უხარისხო მედიკამენტები შემოვიდეს.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებული პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. კერძოდ: ახლადშექმნილმა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ უნდა შეისწავლოს ფარმაცევტული ბაზრის დომინანტი კომპანიების ქმედებები, ხოლო საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა უნდა შეაგროვოს და გამოაქვეყნოს ამომწურავი მონაცემები ამ სექტორის შესახებ. მოსახლეობის მიერ ფარმაცევტულ პროდუქციაზე გაღებული ხარჯები შეიძლება შემცირდეს აუცილებელი მედიკამენტების სიის შემოღების, გენერიკების გამოყენების წახალისებისა და მედიკამენტების დანიშვნის შესაბამისი წესების სათანადოდ აღსრულების გზით. საჭიროა სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება, ხარისხის სათანადო კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით.

საქართველოს ფარმაცევტული ბაზრის ანგარიში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მომზადდა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორის ეკა გიგაურის განცხადებით, ანგარიში პირველია იმ სამიდან, რომლებიც საქართველოს ჯანდაცვის სექტორში არსებულ მდგომარეობას შეეხება. უახლოეს მომავალში "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" კიდევ ორ ანგარიშს გამოაქვეყნებს, რომლებიც ჰოსპიტალურ სექტორსა და სადაზღვევო სექტორზე მზადდება.

RENAULT-ის ახალი მსოფლიო რეკორდი: 1618 კილომეტრის დაფარვა 24 საათში

სერიულ ელექტრომობილებს შორის ZOE-მ ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა - ყველაზე გრძელი მანძილი 1618 კილომეტრი 24 საათში დაფარა. რეკორდის ადგილი ნორმანდიაში იყო, სადაც სარბოლო ბილიკზე ავტომობილმა 363 წრე გააკეთა და წინა რეკორდი 25%-ით გააუმჯობესა. ამავდროულად ZOE-მ მოახდინა სავალი ნაწილის ხარისხისა და სანდოობის დემონსტრირება.

რეკორდის ისტორია

2012 წლის 1 ივნისს, 16:00 საათზე ნორმანდიაში, ობევუას ჩქროსნულ ტრეკზე, Renault Zoe-ს 2 ავტომობილი გამოვიდა. საჭესთან მორიგეობით სხდებოდა 15 ავტომრბოლელი, რომლებიც პერიოდულად მუხტავდნენ ელექტრომობილს. 24 საათის შემდეგ ორივე ავტომობილმა გადაკვეთა საფინიშო ნიშნული. ერთმა ავტომობილმა 1618 კილომეტრი, ხოლო მეორემ - 1506 კილომეტრი დაფარა. ორივე ავტომობილმა მოახდინა სავალი ნაწილის ხარისხისა და გამძლეობის დემონსტრირება.

ყოველივე ეს კი რევოლუციური ტექნიკური მიღწევის - Zoe-ს ინოვაციური კვების ბლოკის Cameleon-ის დამსახურებაა. საქმე იმაშია რომ აღნიშნული კვების ბლოკის დამუხტვა შესაძლებელია ნებისმიერი ფორმისა და სიძლიერის ელექტრო როზეტში. თავად რეკორდის დროს ავტომობილი 43 კილოვატის სიძლიერით 30 წუთში იმუხტებოდა, რაც აკუმულატორის 80%-იან შევსებას უზრუნველყოფდა. რეკორდის განმავლობაში Zoe 18 დამუხტეს.

"ეს იყო საოცრად ამაღელვებელი მომენტი, როგორც ტექნილური პერსონალისთვის, ასევე მაყურებლებისთვისაც. ამ რეკორდმა რენოს ხარისხისა და გამძლეობის დემონსტრირება მოახდინა", - აღნიშნა რენოს ელექტრომობილების მომხმარებელთან ურთიერთობისა და რეკორდების ორგანიზების დირექტორმა, ბერნარ დიუმონდელმა.

Zoe-მ ტრანსპორტის სფეროში ახალი ეპოქის შესაძლებლობები დაადასტურა

დამოუკიდებლად რეკორდის ფაქტისგან, რომელსაც გინესის ოფიციალური წარმომადგენლები ესწრებოდნენ, აღნიშნული მაჩვენებელი ბადებს შეკითხვას: მაინც რამხელა მანძილის გავლა შეუძლია Zoe-ს?

"ეს პროგრამა ორ თვეში განვახორციელეთ. აპრილში ჩვენ დავიწყეთ შეფასების გათვლები. მაისში კი ავტომობილის საგზაო გამოცდა მოვახდინეთ და დავსახეთ სტრატეგია. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ სერიული ავტომობილში არანაირი ცვლილებები არ განგვეხორციელებინა. ჩვენ Zoe-ს იმედი გვქონდა და არც შევმცდარვართ", - აღნიშნა პროექტის კოორდინატორმა, ფილიპ ვინომ.

Zoe-ს შექმნით, რენომ ახალი ეპოქის დასაწყისს ჩაუყარა საფუძველი და დაადასტურა, რომ ელექტრომობილი ყველასთვის ხელმისაწვდომია. თავისი 110 წლიანი ისტორიის მანძილზე რენომ არაერთხელ დაადსტურა, რომ კომპანია მუდმივად ცდილობს შექმნას ინოვაციური ტექნოლოგიები, რომლებიც ფართო აუდიტორიაზეა გათვლილი. აღსანისნავია, რომ Zoe ხელმისაწვდომია ყველასთვის და მისი ფასი 15.700 ევროდან იწყება.

სსიპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი

პირველი რეგიონალური ორგანიზაცია კონსტიტუციონალიზმის სფეროში
ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

„კონსტიტუციონალიზმის გაკვეთილები"

წაიკითხე → შეიმეცნე → დაიმახსოვრე

ყოველკვირეული რუბრიკა
უძღვება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი

პარლამენტი შეიძლება დათხოვნილ იქნეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მხოლოდ კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში, გარდა:
ა) პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში;
ბ) პარლამნეტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას;
გ) საგანგებო ან საომარი მდგომარეობის დროს;
დ) საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში. (6.02.2004. N 3272)
საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 51[1])

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილების შეწყვეტის ორი შემთხვევა. პირველ შემთხვევაში, პარლამენტის უფლებამოსილება წყდება ახლად არჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე. ახლადარჩეული პარლამენტის პირველი შეკრება კი შემდგარად ჩაითვლება და პარლამენტი მუშაობას შეუდგება თუ პარლამენტის წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც სცნო პარლამენტმა, იქნება პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა. ხოლო მეორე შემთხვევაში პარლამენტის უფლებამოსილება შეიძლება შეწყდეს საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისი დათხოვნის საფუძველზე. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დათხოვოს პარლამენტი შემდეგ შემთხვევებში: თუ პარლამენტი ზედიზედ სამჯერ არ გამოუცხადებს ნდობას პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ მთავრობის შემადგენლობას ან სამთავრობო პროგრამას; თუ პარლამენტი საკუთარი ინიციატივით უნდობლობას გამოუცხადებს საქართველოს მთავრობას; თუ პრემიერ-მინისტრი პარლამენტში განსახილველ სახელმწიფო ბიუჯეტის, საგადასახადო კოდექსისა და მთავრობის სტრუქტურის, უფლაბამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონპროექტებზე დასვამს მთავრობისადმი ნდობის საკითხს და პარლამენტი ნდობას არ გამოუცხადებს მთავრობას; თუ პარლამენტი მომდევნო საბიუჯეტო წლის დაწყებამდე ვერ მიიღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის პროექტს. პარლამენტი საქმიანობას წყვეტს პარლამენტის დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან. დათხოვნის შესახებ პრეზიდენტის ბრძანებულების ამოქმედებიდან ახლადარჩეული პარლამენტის პირველ სხდომამდე დათხოვნილი პარლამენტი იკრიბება მხოლოდ პრეზიდენტის მიერ საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გამოცხადების შემთვევაში ამ მდგომარეობის დასამტკიცებლად ან საგანგებო ან საომარი მდგომარეობის გაგრძელების საკითხის გადასაწყვეტად. ამასთანავე კონსტიტუციის 51[1] მუხლით მკაცრად არის განსაზღვრული ის შემთხვევები როდესაც დაუშვებელია პარლამენტის დათხოვნა. პარლამენტის დათხოვნა არ შეიძლება პარლამენტის არჩევნების ჩატარებიდან ექვსი თვის განმავლობაში. პარლამნეტის მიერ კონსტიტუციის 63-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისას. აქ საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც ხდება საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენება იმპიჩმენტის გზით. იმპიჩმენტის საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. ეს საკითხი შემდგომ დასკვნისათვის ეგზავნება უზენაეს სასამართლოს ან საკონსტიტუციო სასამართლოს. პარლამენტის დათხოვნა არ შეიძება თუ ქვეყანაში გამოცხადებულია საგანგებო ან საომარი მდგომარეობა. აგრეთვე პარლამენტის დათხოვნა არ შეიძლება საქართველოს პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის ბოლო 6 თვის განმავლობაში.

აკაკი კუხალეიშვილი
კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის სპეციალისტი

ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია - „კონტრასიგნაციის ინსტიტუტი - ევროპული გამოცდილება და ქართული პერსპექტივა"

23-24 ივნისს, გაიმართება კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - „კონტრასიგნაციის ინსტიტუტი - ევროპული გამოცდილება და ქართული პერსპექტივა"
სამეცნიერო, აკადემიური წრეების, კონსტიტუციური სამართლის ქართველ სპეციალისტებთან ერთად, კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ - უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვლადიმერ შაპოვალი; პროფესორი, სამართლის დოქტორი პოტსდამის უნივერსიტეტის ემერიტირებული პროფესორი ადმინისტრაციულ, კონსტიტუციურ და ევროპის სამართალში მიწის სოციალური სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე დიტერ უმბახი და მკვლევარი, სამართლის დოქტორი მაგალი ბესე.
მოწვეულნი არიან საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წრმომადგენლები.
კონფერენციის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართავენ, კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ დემეტრაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ალექსანდრე კვიტაშვილი, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პრორექტორი კახი ყურაშვილი, გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი მამუკა თავხელიძე.
კონფერენცია გაიხსნება 23 ივნისს 10 საათზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის I აკადემიური კორპუსის N06 აუდიტორიაში (მის. ი.ჭავჭავაძის გამზ. N1).

ქ.ბათუმი, საქართველოს ა.მოწყობილობის, ქN26
ტელ: (+995 32) 2 72 57 12: (+995 32) 2 72 57 21
WWW.CONSTCENTRE.GOV.GE

AIRFRANCE KLM

დაიწყეთ თქვენი მოგზაურობა ავიაკომპანია KLM - თან ერთად

მოგზაურობა უნდა იყოს ისეთივე საინტერესო, როგორც მისი მიზანი. კაელემ ზრუნავს იმაზე რომ, თქვენ მოგანიჭოთ სიამოვნება ბილეთის დაჯავშვნიდან დანიშნულების ადგილამდე ფრენისას.

ნიუ-იორკი	1115 $*დან
ვაშინგტონი	1130 $*დან
ტორონტო	1125 $*დან

და სხვა მიმართულებები

ღირებულებაში შედის ყველა მოსაკრებელი ფრენა თბილისიდან

გადასახადი ხდება*$-დოლარის ეквივალენტი ლარში.

KLM Royal Dutch Airlines

ფრენა როგორც შთაბეჭდილება

ბილეთების დაჯავშვნა KLM.ge

კაელემ და ჯორჯიან ეარვეისი ასრულებს რეისებს თბილისი -ამსტერდამი და შემდეგ მთელი მსოფლიოს მიმართულებით. ბილეთების დასაჯავშნად და სრული ინფორმაციის მისაღებად ესტუმრეთ www.klm.ge ან ტურისტულ სააგენტოს.

სირია: ძალთა ჭიდილი

ხათუნა გაბიევი

რუსეთში მიბრუნებული ვერტმფრენი

ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე მდგარი მილიონ-ნახევარი სირიელი, გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი პრეზიდენტი ბაშარ ალ-ასადი და უკომპრომისო სიტუაცია - დაახლოებით, ასე შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო ომი სირიაში და საერთაშორისო საზოგადოების მიდგომა. ვაშინგტონში მიაჩნიათ, რომ ასადის გარემოცვაში გაქცევის სტრატეგიაზე მუშაობას უკვე შეუდგნენ. ამას არმიის ელიტური ნაწილიდან ავიაციის პოლკოვნიკის ჰასან მერეი ალ-ჰამადის "მიგ-21" კლასის მოიერიშეთი გაქცევაც ადასტურებს. მას იორდანიაში პოლიტიკური თავშესაფარი მოთხოვნიდან 6 საათში მისცეს. ამ თემას ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ტრადიციულ ბრიფინგზე უკვე გამოეხმაურა. **"ჩვენ ვაგრძელებთ დაკვირვებას. ეს მნიშვნელოვანია, როდესაც ავიაციის პოლკოვნიკი 25 მილიონი დოლარის ღირებულების სამხედრო თვითმფრინავით სხვა ქვეყანაში გადადის და პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს. სწორედ, ასე იწყება რეჟიმის ხელმძღვანელობასთან დაახლოებული წრის რღვევა,"** - განაცხადა ვიქტორია ნულანდმა.

რაც შეეხება სირიელი ამბოხებულებისთვის დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მიერ იარაღის მიწოდებაზე "ნიუ-იორკ ტაიმსის" მიერ გავრცელებულ ცნობებს, თეთრი სახლი პირდაპირ კომენტარს თავს არიდებს. პრესსპიკერის ჯეი ქერნის თქმით, შეერთებული შტატები სირიელებს მხოლოდ ჰუმანიტარულ დახმარებას აწვდის. ვაშინგტონმა, პირიქით, სირიისთვის იარაღის მიწოდებაში მოსკოვი დაადანაშაულა. პენტაგონი რუსეთს "შემზარავი ომით" დაემუქრა, თუ მოსკოვი ასადის რეჟიმის შეიარაღებას არ შეწყვეტს. **"ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, არ აღმოვუჩინოთ სირიას სამხედრო დახმარება. ვიცი, რომ სხვა ქვეყნებმა საკუთარი გადაწყვეტილება მიიღეს,"** - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ლეონ პანეტამ. მან იმედი გამოთქვა, რომ არა მარტო რუსეთი, არამედ სხვა ქვეყნებიც არ მოამარაგებენ იარაღით სირიას, რადგან ეს დიდძალ მსხვერპლს გამოიწვევს მშვიდობიან მოსახლეობაში. **"მიმაჩნია, რომ ამჟამად უმნიშვნელოვანესია ყველა მხარის ყურადღების გამახვილება ხელისუფლების შერბილებულ და პასუხისმგებლობით სავსე ტრანსფორმაციაზე. თუ ჩვენ ამას სრული პასუხისმგებლობით და სიფრთხილით არ მოვეკიდებით, ქვეყანაში სიტუაციის შემზარავ სამოქალაქო ომში გადაზრდის რეალური საფრთხე გაჩნდება,"** - აღნიშნა ლეონ პანეტამ.

12 ივნისიდან მოყოლებული დღემდე დიპლომატიურ ფრონტზე დაწყებულმა სკანდალმა და სირიისთვის იარაღის მიწოდებაზე ურთიერთბრალდებებმა იმდენად აღაშფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა, რომ ერთგვარად დაჩრდილა სირიაში ყოველდღიურად ძალადობის მსხვერპლთა რაოდენობის შესახებ გვარცელებული ცნობებიც კი. ასადის რეჟიმის იარაღით უზრუნველყოფაზე ამერიკის მხრიდან გაკეთებული ბრალდებების საპასუხოდ ტელეკომპანია "რაშა თუდეისთან" ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ ეს არცთუ ღირსეული კამპანიის ნაწილი და საკმაოდ გამრუდებული პოზიციაა, რომლის მიზანიც ვნებათაღელვის გამოწვევა და რუსეთის არასახარბიელო კუთხით წარმოდგენაა.

სერგეი ლავროვმა კიდევ ერთ სკანდალზე ისაუბრა, კერძოდ, მურმანსკში დაბრუნებულ ხომალდ "ალაიდზე", რომელსაც "მი-25" კლასის ვერტმფრენები მიჰქონდა სირიაში. ხომალდი, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების ძალისხმევით ბრიტანულმა სადაზღვევო კომპანიამ გზიდან მიაბრუნა და კურსი კვლავ რუსეთისკენ ააღებინა. სერგეი ლავროვის თქმით, ოფიციალური მოსკოვი თავის ვალდებულებას შეასრულებს და ვერტმფრენებს მფლობელს ანუ სირიას მაინც დაუბრუნებს, რადგან ამით არ ირღვევა საერთაშორისო ნორმები და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს რეზოლუციები. **"ცნობები იმის შესახებ, რომ არსებობს ევროკავშირის სანქციები, ჩემთვის არადამაჯერებელია. არსებობს საერთაშორისო სამართალი, ხოლო ევროკავშირის სანქციები საერთაშორისო სამართლის ნაწილი ნამდვილად არაა,"** - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

სირიის საკითხზე საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომას უკომპრომისო მდგომარეობად აფასებენ რუსი ექსპერტები. დამოუკიდებელი სამხედრო ექსპერტის პაველ ფელგენგაუერის თქმით, ხელისუფლებიდან ასადის წასვლაც კი სირიაში ვითარებას ვერ შეცვლის, რადგან მისი მომხრეები პოზიციას მაინც არ დათმობენ. ფელგენგაუერის აზრით, არც იარაღს აქვს დიდი მნიშვნელობა, რადგან საქმე პოლიტიკურ სიტუაციას ეხება. იგი არც მასშტაბურ ომს გამორიცხავს და ფიქრობს, რომ, პრაქტიკულად, ირანი მასში უკვე ჩართულია. **"რუსეთს ჩარევის ძალა არ შესწევს, ამერიკას კი დისტანციაზე ყოფნა ურჩევნია. კომპრომისისთვის საჭირო ნიადაგი არ არსებობს,"** - აცხადებს ექსპერტი. თუმცა, საერთაშორისო მედიაში გაჩნდა უკვე ცნობებიც იმის შესახებ, რომ რესპუბლიკელი ჯონ მაკკეინი პირდაპირ მოუწოდებს თეთრ სახლს სირიაში ინტერვენციისკენ, რასაც დემოკრატები მხარს არ უჭერენ და უპირატესობას რეგიონული ქვეყნებისა და საერთაშორისო საზოგადოების ზეწოლის მექანიზმს ანიჭებენ. სირიის ურთულეს მდგომარეობას, ლიბიისა და ეგვიპტისგან განსხვავებით, ჭრელი რელიგიური და ეთნიკური მოზაიკით ხსნის კიდევ ერთი რუსი ექსპერტი ალექსანდრ რაგუნოვი. ფიოდორ ლუკიანოვი კი მიიჩნევს, რომ სირიაში შეჭრისთვის ჯერ არავინ არის მზად, ამიტომ უფრო მოსალოდნელია, რომ გეოპოლიტიკური თამაში გაგრძელდება. არანაკლებ საინტერესო მოსაზრება აქვს სერგეი მუხინს, რომლის აზრითაც, რუსეთი უკანდახევას არ აპირებს, რადგან ეს მისი მხრიდან შესაძლოა, სისუსტედ იქნეს აღქმული; გამოსავალი კი არც ამერიკის შეერთებულ შტატებს რჩება, რადგან ვალდებულია, აღებული კურსი შეინარჩუნოს. მუხინის აზრით, ამ ვითარებაში სირია უფრო მსხვერპლად იქცევა.

დიდი სახელმწიფოების ინტერესების ჭიდილის მსხვერპლად რამდენად იქცევა თავად სირია, მომავლის საქმეა. ფაქტია, რომ ამჟამად სიტუაციის ერთადერთი მსხვერპლი თავად სირიის მშვიდობიანი მოსახლეობაა, რომლის წინააღმდეგაც მასირებული ძალადობა ამ დრომდე არ წყდება. ქვეყანაში ახლაც იბომბება დერაასა და იდლიბის პროვინციები, რომ არაფერი ითქვას ჰომსზე, სადაც მოქალაქეების ევაკუაციისთვის შეთანხმებული მორატორიუმი მალევე დაირღვა.

ბიზნესი

რუსეთიდან უცხოური კაპიტალი გარბის, ნავთობის ფასი ეცემა

თინა შავაძე

რუსეთიდან უცხოური კაპიტალი ბოლო ცხრა კვირის განმავლობაში უწყვეტად გაედინება, თუმცა გასულ კვირაში რუსეთიდან კაპიტალის გაქცევის მაჩვენებელი გაორმაგდა.

Emerging Portfolio Fund Research (EPFR)-ის მონაცემებით, ფონდებიდან, რომლებიც რუსული კომპანიების აქციებში ინვესტირებას ახდენენ, 14-20 ივნისს 62 მილიონი დოლარის კაპიტალის გადინება აღინიშნა. წინა კვირას ამ მაჩვენებელმა 33 მილიონი დოლარი შეადგინა.

ამდენად, 2012 წლის დასაწყისიდან 20 ივნისამდე რუსულ ფონდებში საინვესტიციო სახსრები 819 მილიონ დოლარამდე შემცირდა.

გარდა ამისა, საინვესტიციო კომპანია "Uralsib Capital" იტყობინება, რომ GEM-ში (განვითარებადი ბაზრების გლობალური ფონდები) თანხების შემოდინება გრძელდება, თუმცა წინა კვირასთან შედარებით ორჯერ შემცირდა და 627 მილიონი დოლარი შეადგინა.

"ამ ეტაპზე სარისკო აქტივები უკვე განსაზღვრულია და მათზე მოთხოვნა დაეცა, რადგან ინვესტორები შეშფოთებულნი არიან გლობალური ეკონომიკის ტემპის შემცირებით," - ამბობენ Uralsib Capital -ში.

რუსეთის ეკონომიკური ტემპის შესუსტებასა და ნავთობის ფასის დაცემას ყოფილი და მოქმედი მაღალი რანგის ჩინოვნიკებიც ვარაუდობენ.

ევროპის ეკონომიკური კრიზისი გაძლიერდება. საბერძნეთი, სავარაუდოდ, ევროზონას დატოვებს. ასეთ ვითარებაში არსებობს რისკი, რომ რუსეთი იმაზე დიდ კრიზისში აღმოჩნდეს, ვიდრე 2008-ში იყო, - ამის შესახებ რუსეთის ფინანსთა ექს-მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა.

"ვფიქრობ, საბერძნეთი, პრინციპში, გამოვა. თარიღს ვერ დაგისახელებთ," - განუცხადა მან რუსულ სააგენტო "პრაიმს" პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის კულუარებში.

კუდრინის განცხადებით, ევროპაში სიტუაცია გაუარესდება და წლის მაჩვენებლით რეცესიას მივიღებთ. "რუსეთი ასევე რისკის ზონაში იმყოფება. ჩვენ ნაკლები რეზერვები გვაქვს, კრიზისის მასშტაბები კი არანაკლები იქნება," - აღნიშნა კუდრინმა არსებული ვითარების 2008 წლის სიტუაციასთან შედარებისას.

"რუსეთს საკმაოდ კარგი საინვესტიციო კლიმატი აქვს, მაგრამ მთავარი სირთულე ევროპის პრობლემებია, რომლებიც სულ უფრო ღრმავდება. დასავლეთის ბანკებს თავიანთი კრედიტები გააქვთ და დაკრედიტებას აღარ აგრძელებენ. დასავლელი ინვესტორები ფულს არ აბანდებენ რუსეთის ეკონომიკაში, რომელიც ასე ძლიერადაა დამოკიდებული ნავთობზე, ამიტომ, ქვეყნას საინვესტიციო აქტივობის შემცირება ელოდება," - განაცხადა კუდრინმა.

ექს-მინისტრმა ევროპის ვალის კრიზისის გაღრმავების, ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებისა და ნავთობის ფასის ვარდნის შესახებ ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებში განაცხადა.

ნავთობის ფასზე საუბრისას კუდრინმა აღნიშნა, რომ ნავთობის ფასის ვარდნა არა მხოლოდ მომავალი ორი წლის, არამედ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაგრძელდება.

"უკვე ნათლად ჩანს, რომ ნავთობის ფასი პროგნოზი, რომელიც 2012 წლის რუსეთის ბიუჯეტშია ასახულია და ბარელი 115 დოლარად არის შეფასებული, არარეალურია," - განაცხადა რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ანტონ სილუანოვმა.

რუსეთის მთავარი ფინანსისტის თქმით, 2012 წლის ბიუჯეტის ფორმირება იმ საფუძველზე, რომ ნავთობის ფასი ბარელზე 115 დოლარი იქნება, არარეალური პროგნოზია, თუმცა ორი თვის წინ ჩანდა, რომ 115 დოლარი საკმაოდ ნორმალური საპროგნოზო ფასი იყო.

ამგვარად, სილუანოვის განცხადებით, ნავთობის ფასის საბიუჯეტო გაანგარიშება მიმდინარე წელს ბარელზე - 92 დოლარს, 2013 წელს - 93 დოლარს, 2014 წელს - 94 დოლარს უნდა დაუბრუნდეს.

ხუთშაბათს სილუანოვმა აღნიშნა, რომ მეორე ტალღის კრიზისი რუსეთში შეიძლება, იმ შემთხვევაში განმეორდეს, თუ მოულოდნელად მნიშვნელოვანად შემცირდება ენერგორესურსების ფასები.

Brent-ის ტიპის ნავთობზე ფიუჩერსების ფასი დაცემას განაგრძობს და ბოლო ვაჭრობის შემდეგ 90 დოლარი შეადგინა.

"ამერიკის საჰაერო იერიშები - საერთაშორისო სამართლის უდიდესი გამოწვევა"

თამთა კახაძე

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მომხსენებლების თქმით, ამერიკის მიერ უპილოტო თვითმფრინავებიდან განხორციელებული საჰაერო იერიშები საერთაშორისო სამართლებრივი სისტემის უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

ჟენევაში გამართულ კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა გაეროს სპეციალური მომხსენებელი არასასამართლო წესით განხორციელებული მკვლელობების საკითხებზე კრისტოფ ჰეინსი. მისი სიტყვებით, ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას ბრძანების შესაბამისად, პაკისტანში, იემენსა თუ სხვა ქვეყანაში განხორციელებულმა საჰაერო იერიშებმა, რომლებსაც უშუალოდ ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო ახორციელებს, შესაძლოა, სხვა ქვეყნებსაც უბიძგოს ადამიანის უფლებათა სტანდარტების დარღვევისკენ.

იმავე კონფერენციაზე, რომლის ორგანიზატორიც ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირი (ACLU) იყო, გაეროს სხვა მომხსენებელმა, ბენ ემერსონმა, რომელიც კონტრტერორიზმის მონიტორინგს ეწევა, განაცხადა, რომ ის პრიორიტეტად საჰაერო იერიშების გამოძიებას დაისახავს. მისი თქმით, თუ ამერიკა ან სხვა ქვეყანა, რომლებიც საჰაერო იერიშებს ახორციელებენ, თითოეული მკვლელობის შესახებ დამოუკიდებელ გამოძიებას არ აწარმოებენ, მაშინ გაერომ "თავად უნდა დააარსოს საგამოძიებო ორგანო."

კონფერენციას გაეროში პაკისტანის წარმომადგენელი ზამირ აკრამიც ესწრებოდა, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოებას მოუწოდა, "შეაჩერონ ამერიკის მიერ განხორციელებული ეს კონტრპროდუქტიული ქმედება."

ჰეინსმა, რომელიც სამხრეთ აფრიკის სამართლის პროფესორია, შეკრებილებს მიმართა: "უნდა მივიღოთ თუ არა ეს უდიდესი ცვლილებები საერთაშორისო სამართლის სისტემაში, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ არსებობს და ბირთვულ საფრთხეებს გაუძლო?" ჰეინსის აზრით, არსებული პრაქტიკა კანონის უზენაესობას ასუსტებს.

ჰეისმა აგდებულად მოიხსენია ამერიკის განცხადება საჰაერო იერიშების შესახებ, რომლის თანახმადაც, ეს "ალ კაიდასა" და მათი მოკავშირეების მისამართით 9/11-ზე კანონიერ პასუხს წარმოადგენს. "ძალიან ძნელია იმის თქმა, 2001 წლის დანაშაულით როგორ უნდა გაამართლო 2012 წელს მომხდარი მკვლელობები. ზოგიერთ ქვეყანას საკუთარი ქმედების გასამართლებლად, ჩანს, ახალი კანონები სჭირდება," - აცხადებს პროფესორი.

როგორც ჰეინსმა "გარდიანს" განუცხადა, მისი მომავალი გამოძიება, სავარაუდოდ, შეეხება აშშ-სა და მისი მოკავშირეების თანამშრომლობის საკითხებს ტერორისტების სამიზნედ შერჩევისას. მან მაგალითად მოიყვანა დიდი ბრიტანეთი, რომელიც ზოგადად აქტიურად თანამშრომლობს აშშ-სთან დაზვერვის სფეროში. ჰეინსს აინტერესებს, ხდება თუ არა იმის ერთობლივად განსაზღვრა, რომელი ადამიანი უნდა იქცეს სამიზნედ. მისი თქმით, თითოეულ საჰაერო იერიშზე ადამიანის სიცოცხლის უფლების დასაცავად დამოუკიდებელი გამოძიება უნდა ჩატარდეს.

ჰეინსი აღნიშნავს, რომ დროა, ამ თემასთან დაკავშირებით დუმილი დასრულდეს. მისი აზრით, ეს თავდასხმაა არა მარტო კონკრეტული პირებზე, არამედ თავად საერთაშორისო სამართალზეც. პაკისტანელი ელჩის განცხადებით, ამერიკის მიერ განხორციელებულ საჰაერო იერიშებს ათასზე მეტი მშვიდობიანი მოქალაქე ემსხვერპლა.

"ACLU"-ს დაანგარიშებით კი, იემენში, პაკისტანსა და სომალიში 2002 წლიდან მოყოლებული ამერიკის საჰაერო იერიშებს დაახლოებით 4000 ადამიანი ემსხვერპლა. აღსანიშნავია, რომ ამერიკა თავად საერთაშორისო კრიმინალური სასამართლოს ხელმომწერი ქვეყანა არ არის, ანუ მის წინაარმდეგ იქ სარჩელის აღძვრა შეუძლებელია. ეს უფრო გაეროს საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) ფარგლებშია შესაძლებელი, სადაც ერთი ქვეყანა საქმეს მეორეს წინააღმდეგ აღძრავს.

ჰეინსის მოხსენებასთან დაკავშირებით ამერიკის მხარემ გააკეთა განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ ამერიკა მსგავსი ოპერაციების დროს გამჭვირვალედ და კანონის ყველა წესის დაცვით მოქმედებს, მათ შორის, სამხედრო სამართლისაც.

ქაბულთან დაკავებული სასტუმროდან მძევლები გაათავისუფლეს

სალომე ჯანიაშვილი

"თალიბანის" შეიარაღებული ჯგუფი პარასკევს, ღამით თავს დაესხა სასტუმრო "სპოჟმაის", ავღანეთის დედაქალაქის მახლობლად. თავდასხმის დროს მათ ხელის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნები და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევები გამოიყენეს. თავდამსხმელებმა მძევლად სასტუმროს სტუმრები აიყვანეს. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენელთა განცხადებით, მძევალთა შორის იყვნენ ქალები და ბავშვებიც. ქაბულის პოლიციის საგამოძიებო სამსახურის ხელმძღვანელმა მუჰამედ ზაჰირმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ "არსებული ინფორმაციით, ზოგიერთ მძევალს აწამებენ."

ტერორისტების თავდასხმას მსხვერპლი მოჰყვა. ოპერაციის დასრულების შემდეგ დაახლოებით 18 მძევალი განთავისუფლებული იქნა. ოპერაციაში მონაწილეობდა პოლიცია, ავღანეთის ჯარი და ნატო-ს კონტინგენტი, რომელიც პარასკევს დილით ჩაერთო ამ პროცესში. კერძოდ, მათ ავღანელებს ვერტმფრენები მიაშველეს. ოპერაცია დაახლოებით 12 საათს გაგრძელდა. ავღანეთის პოლიციის განცხადებით, თალიბების თავდასხმის შედეგად დაიღუპა 8 ადამიანი, გარდა ამისა, კიდევ 5 თავდამსხმელი. ტერორისტული თავდასხმის შედეგად დაიღუპა სასტუმროს სამი მცველი, ოთხი მშვიდობიანი მოქალაქე და პოლიციელი. პოლიციას სასტუმროს გათავისუფლება ღამითვე შეეძლო, მაგრამ, მაღალჩინოსნების თქმით, ისინი მოერიდნენ მსხვერპლს მძევლებს შორის.

მოძრაობა "თალიბანის" წარმომადგენლის სიტყვებით, თავდამსხმელებმა კონკრეტულად ეს სასტუმრო იმიტომ შეარჩიეს, რომ ეს არის პოპულარული დასასვენებელი ადგილი დედაქალაქელთათვის, სასტუმრო ხშირად მასპინძლობდა უცხოელ დიპლომატებს, ნატოს სამხედრო ძალების წარმომადგენლებს და მდიდარ ავღანელებს. მათ ხაზი გაუსვეს, რომ შეტევა განახორციელეს "მდიდარი უცხოელებისა და ავღანელების წინააღმდეგ, რომლებიც აწყობენ აღვირახსნილ წვეულებებს მუსულმანთათვის წმინდა დღეს პარასკევს."

ცნობილია, რომ ზოგიერთი დამსვენებელი შეიარაღებული თავდამსხმელებისგან თავის დახსნის მიზნით სასტუმროს ფანჯრებიდან გადმოხტა. თავდამსხმელებისა და მძევლების ზუსტი რაოდენობა ცნობილი არ არის. ადგილობრივი მედიის ცნობით, მძევალთა უმრავლესობა ავღანელია.

ბოლო დროს თალიბების თავდასხმების ინტენსიურობა გაიზარდა. უკანასკნელი 7 დღის განმავლობაში მათი ხელით სამი ამერიკელი ჯარისკაცი და 20 ავღანელი დაიღუპა. თავდასხმების რიცხვი გაიზარდა მას შემდეგ, რაც ნატო-მ განაცხადა, რომ ქვეყანაში კონტროლი ავღანეთის უსაფრთხოების ძალებს უნდა გადაეცეს 2014 წლამდე, ალიანსის ჯარების მიერ ავღანეთის დატოვებამდე.

ბელარუსში ოპოზიციონერი ჟურნალისტი დააპატიმრეს

ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მდებარე ქალაქ გროდნოში დააპატიმრეს ბელარუსში და პოლონეთში კარგად ცნობილი ჟურნალისტი ანდრეი პოჩობუტი. მისი დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი გახდა განმეორებითი ცილისწამება ბალარუსის პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს მიმართ. ჟურნალისტის მეუღლის, ოკსანას სიტყვებით, სამართალდამცავებმა თავიდანვე განაცხადეს, რომ ჟურნალისტის წასაყვანად მივიდნენ და ამიტომ ჩხრეკა დიდხანს არ გაჭიანურდებოდა. ანდრეი პოჩობუტი დასაკითხად წაიყვანეს, მაგრამ მან ჩვენების მიცემაზე უარი თქვა და შემდეგ ქალაქის ციხეში გადაიყვანეს. მილიციელებმა წაიღეს მისი კომპიუტერიც. მის სახლში სამართალდამცავების მისვლისას ანდრეი პოჩობუტი წერდა სტატიას ციხეში გამომწყვდეულ ადამიანის უფლებათა დამცველზე, ალეს ბელიაცკიზე. დაკავებისას ჟურნალისტს და მის მეუღლეს აჩვენეს დადგენილება, რომლის თანახმადაც, განმეორებითი ცილისწამება პრეზიდენტზე არის პოჩობუტის სტატიებში, რომლებიც გამოქვეყნებულია ოპოზიციურ საიტებზე "ქარტია-97"-სა და "ბელარუსკი პარტიზან"-ზე.

საქმე ის არის, რომ ცილისწამების მუხლი ანდრეი პოჩობუტს შარშან უკვე მიუყენეს, მისი სტატიებისთვის პოლონურ "გაზეტა ვიბორჩაში" და "ბელარუსკი პარტიზან"-ზე გამოქვეყნებული სტატიებისთვის. მაშინ ჟურნალისტმა სასამართლომდე სამი თვე ციხეში გაატარა. მას სამი წელი მიუსაჯეს, სასჯელის ორწლიანი გადავადებით. ამჟამად დადგენილებაში მითითებულია 367-ე მუხლის მეორე ნაწილი, განმეორებითი ცილისწამება, რაც უკვე ხუთ წლამდე ციხეს ითვალისწინებს.

ადამიანის უფლებათა დამცველები მიიჩნევენ, რომ ანდრეი პოჩობუტის დაპატიმრება გაფრთხილებაა სხვა ჟურნალისტებისთვისაც, რომლებიც რეჟიმს აკრიტიკებენ. მათთვის პირში ბურთის ჩაჩრა ლუკაშენკოს განსაკუთრებით ახლა სჭირდება, სექტემბერში დანიშნული საპარლამენტო არჩევნების წინ.

მედია: ჰოსნი მუბარაქს გული გაუჩერდა

ეგვიპტური თუ საერთაშორისო მედიასაშუალებები საკუთარ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით წერენ, რომ ეგვიპტის ექსპრეზიდენტ ჰოსნი მუბარაქს გული გაუჩერდა და ექიმები კრიტიკული მდგომრეობიდან მის გამოყვანას ვერ ახერხებენ. მუბარაქის მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა სამი კვირის წინ, რაც სასამართლომ მისი განაჩენი - სამუდამო პატიმრობა გამოაცხადა. ბოლო რამდენიმე დღეა, ის უკვე ციხის საავადმყოფოდან სამხედრო ჰოსპიტალშია გადაყვანილი და მხოლოდ ხელოვნური სუნთქვის აპარატის საშუალებით აცოცხლებენ. ამ პერიოდში მისი ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების შესახებ ცნობა რამდენჯერმე გავრცელდა, 20 ივნისს მედიამ ის კიდეც "დამარხა", მაგრამ ეს ინფორმაცია ზუსტი არ აღმოჩნდა.

პარალელურად, კაიროს ცენტრალურ "თაჰრირის" მოედანზე შეკრებილია ათობით ათასი ადამიანი, ისინი აღშფოთებულები არიან საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით, რომელმაც საპრეზიდენტო აჩევნების მეორე ტურის შედეგების გამოცხადება გადადო. დემონსტრანტები მოითხოვენ დროულად გამოცხადდეს გამარჯვებულად მოჰამედ მურსი "თავისუფლებისა და სამართლიანობის პარტიის" (პანარაბული მოძრაობა "მუსულმანი ძმების" პოლიტიკური ფრთა ეგვიპტეში) ლიდერი (ხალხი მიიჩნევს, რომ მან გაიმარჯვა) და დაჩქარდეს სამხედროების მიერ მისთვის ძალაუფლების გადაცემა. თუმცა მეორე კანდიდატი, ყოფილი პრემიერი აჰმედ შაფიკიც დარწმუნებულია, რომ საარჩევნო კომისია გამარჯვებულად მას მიიჩნევს. მისი აზრით, ქუჩის პროტესტი და მანიპულაცია მედიასაშუალებებით არის საარჩევნო კომისიაზე ზეწოლის მცდელობა. თუმცა აჰმედ შაფიკმა ისიც განაცხადა, რომ აღიარებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ გამოცხადებულ ნებისმიერ შედეგს და მურსის გამარჯვების შემთხვევაში პირველი მიულოცავს მას პრეზიდენტობას.

ლიუდმილა ალეკსეევამ პრეზიდენტის საბჭო დატოვა

რუსეთის ადამიანის უფლებათა დაცვის მოძრაობის უხუცესმა წარმომადგენელმა ლიუდმილა ალეკსეევამ, ბევრი კოლეგის მსგავსად, პრეზიდენტ პუტინთან არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭო დატოვა. მისი აზრით, ამ საბჭოს ფორმირების ახალი წესი, რომელიც ცოტა ხნის წინ ხელისუფლებამ წარმოადგინა, მას უზრო ორგანოდ აქცევს. მანამდე, დეკემბერში და ივნისში საბჭო 40 წევრიდან 13-მა დატოვა. ადამიანის უფლებათა ცნობილი და სტაჟიანი დამცველები მიიჩნევენ, რომ ახალი მეთოდით საბჭოს ფორმირება - ნებისმიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი კანდიდატებით - მას სერიოზულად აუფასურებს. ადრე ამ საბჭოს ახალ წევრებს თვით ძველი წევრები უწევდნენ რეკომენდაციას და პრეზიდენტი ფართო სიიდან ნაწილს საკუთარი შეხედულებით ირჩევდა. ახლა საბჭოს წევრად შეიძლება დანიშნონ პირი, რომელიც პრეზიდენტს, მაგალითად, მეფუტკრეთა ან ფილატელისტთა და ნუმიზმატთა საბჭომ შესთავაზა.

მოამზადა ივა შილაკაძემ

ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲨᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ანდრეა ბრუნო, რომელიც სარეკონსტრუქციო პროექტის ქომაგების მთავარი არგუმენტია, რაკი ის თავად იუნესკოს კადრად შეიძლება მოვიაზროთ, ფართო საზოგადოებას პირველად გუშინ შეხვდა, ბაგრატის ტაძრის საკითხთან დაკავშირებულ სპეციალურ პრესკონფერენციაზე, სადაც მას, ისე როგორც მედიასაზოგადოებას, მასპინძლობდა უპირველესად მინისტრი ნიკოლოზ რურუა და ასევე ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა უნიკალური ძეგლის ისტორია.

შეხვედრა ხანგრძლივი გახლდათ და მის არსსა და ამოცანებს ის ადამიანებიც კარგად გაიგებდნენ, ვისთვისაც გამწვავებული საკითხი ბაგრატის აღდგენისა აქამდე უცნობი გახლდათ. რაც მთავარია, პრობლემაც დიდად მწვავედ არ დასახულა, რაც მომხსენებლების გამარტივებული თხრობის მანერის დამსახურებაა.

მინისტრ ნიკოლოზ რურუას აზრით, ბოლო პერიოდში წამონყებული კამათი და ვნებათაღელვა გარკვეული პოლიტიკური ჯგუფების ინტერესების სფეროს წარმოადგენს. სწორედ ამ ინტერესებით გავრცელდა ფეისბუქში რეალობასთან შეუსაბამო ფოტომასალა და ბევრი არასწორი ინფორმაცია პროექტთან დაკავშირებით.

მთავარი მისია ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა იკისრა, რომელმაც შეგვახსენა არა მხოლოდ ბაგრატის ტაძრის კულტურული და რელიგიური ღირებულება და მნიშვნელობა, არამედ ტაძრის ნანგრევების სარესტავრაციო სამუშაოების ეტაპები. ამ მოხსენების მიზანიც გასაგებია - ხაზი გაესვა იმისთვის, რომ ტაძრის ნანგრევებს რესტავრატორის ხელი პირველად არ ეხება. სამინისტროს საპრეზენტაციო დარბაზში წარმოდგენილი ფოტომასალაც ამ საკითხის ვიზუალიზაციას ემსახურებოდა. მართლაც, ვიცით და სიამოვნებით მოვიგონეთ კიდეც, რომ ვახტანგ ცინცაძის თაოსნობით ბაგრატის ნანგრევებს რამდენიმე ეტაპად უმკურნალეს. თუმცა, ფოტომასალა და თავად მომხსენებლის ტექსტები ცხადყოფდა ერთ მნიშვნელოვან რამეს - სარესტავრაციო სამუშაოები 50-70-იან წლებში შეეხო არსებული კედლების, ნანგრევებად, მაგრამ მაინც სხეულად დარჩენილი ორგანიზმების შევსებასა და გამთლიანებას. როცა საკითხი რკინა-ბეტონის მასალად გამოყენებაზე ჩამოვარდა, აღინიშნა, რომ იქამდე, სანამ იუნესკო ძეგლს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიყვანდა, რესტავრატორებს მიზნად არ დაუსახავთ ნაგებობის გადახურვა, ამიტომაც მინიმალური რაოდენობით გამოიყენეს რკინის კონსტრუქციები, ისიც იქ, სადაც აუცილებელი იყო. სწორედ ამიტომ, მაშინ გამოყენებული კონსტრუქციები ამოიღეს ნაგებობიდან, რადგანაც გადახურვის სიმძიმეს ვერ გაუძლებდა.

მოხსენების ბოლოსკენ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა უზუსტესად განსაზღვრა ამჟამინდელი საზოგადო პოლემიკის არსი: "ჩვენ წინაშე იდგა ამოცანა, შეგვენარჩუნებინა არსებული "ახალი ნანგრევები" (იგ. რესტავრირებული ნანგრევები) თუ მოგვეხდინა რეკონსტრუქცია და ტაძრისთვის ძველებური იერ-სახე დაგვებრუნებინა. საზოგადოებამ, ეკლესიამ და სახელმწიფომ გადაწყვიტა აღდგენა..."

გადაწყვეტილება მრავალგზის გახლდათ გაპროტესტებული საზოგადოების მიერ და მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია საუბარი იმაზე, რომ ამ პროექტის ფარგლებში ბაგრატის ძეგლის ნაშთები აუთენტურობას არ დაკარგავს. ასეთ დროს მაინც ცოცხლობს იმედი. ამ იმედს ეხმიანებოდა სწორედ ანდრეა ბრუნო თავისი გამოსვლით, სადაც, სხვა მრავალთან ერთად, ერთი მართლაც საინტერესო რამ თქვა: "უაღრესად გაკვირვებული ვარ იუნესკოს წინასწარი შეფასებით და არ ვიცი, ასე რატომ მოხდა." შემდეგ კი სარეკონსტრუქციო პროექტით ძალიან კმაყოფილმა რესტავრატორმა აღნიშნა, რომ იუნესკომ ბაგრატის ტაძრის, როგორც ძეგლის, მნიშვნელოვნების გარდა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს მისი რელიგიური მნიშვნელობა ერისთვის. "იუნესკო მხოლოდ მატერიალურ ძეგლებს არ იცავს, ის არამატერიალურ სიმბოლოებსაც უნდა ითვალისწინებდეს," - აღნიშნა ანდრეა ბრუნომ, რომელიც ამ რეპლიკით ეთანხმება მოსაზრებას, რომ ტაძრის ფუნქციონირების მიზანი ამართლებს მის სრულ რეკონსტრუქციასაც. აქვე განმარტავს, რომ აღნიშნული პროექტი არ ეკუთვნის სარეკონსტრუქციო პროექტების იმ ვერსიებს, სადაც ძეგლის ძველი იერის ფალსიფიკაცია ხდება ხოლმე.

შეხვედრის დასასრულს აღინიშნა, რომ სამუშაოები, რომლებიც პატრიარქის ბრძანებით შეფერხდა, სავარაუდოდ, აღდგება და საამისოდ მიმდინარეობს მოლაპარაკებები სამინისტროსა და საპატრიარქოს შორის. საპატრიარქოს წარმომადგენელებმა კი მედიასთან აღნიშნეს: საქართველოს პატრიარქი ფიქრობდა, რომ სამუშაოების შეფერხებით ბაგრატის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოშლას შეაფერხებდა.

სავარაუდოდ, სამუშაოები უახლოეს მომავალში აღდგება. მაგრამ შეინარჩუნებს თუ არა ძეგლი აუთენტურობის იმ პროცენტულ მაჩვენებელს, რომელიც მას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილად დარჩენის უფლებას მისცემს, ამას არა რომელიმე ადგილობრივი ინსტიტუცია, არამედ თავად იუნესკო გადაწყვეტს.

ᲕᲔᲜᲔᲪᲘᲘᲡ ᲙᲘᲜᲝᲐᲠᲥᲘᲕᲘ

კინოფესტივალის ფარგლებში ათი იშვიათი ფილმის ჩვენება გაიმართება

ᲘᲐ ᲕᲔᲙᲣᲐ

Stress-es tres-tres

ვენეციის წლევანდელი კინოფესტივალი სტუმრებს და კონკურსანტებს ბევრი სიახლით ხვდება. სიახლეები კი ფესტივალის ახალი დირექტორის, ალბერტო ბარბერას დამსახურებაა, რომელმაც თანამდებობაზე დანიშვნისთანავე დაიწყო ძველი დირექტორის, მარკო მიულერის მიერ წლების განამვლობაში შექმნილი სტრუქტურის გადაკეთება: შეამცირა საკონკურსო ფილმების რაოდენობა, გაამკაცრა სხვადასხვა სექციებში მოხვედრის წესები და ასე შემდეგ. სწორედ ბარბერას იდეა გახლავთ პროექტიც, რომლის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ.

პროექტი სახელწოდებით "80!" ვენეციის კინოფესტივალის 80 წლის იუბილეს ეძღვნება (ვენეცია ამ კინოდღესასწაულს 1932 წლიდან მასპინძლობს, ის მსოფლიოს უძველესი კინოფესტივალია). მის ფარგლებში წარმოდგენილი იქნება ათი უიშვიათესი ფილმი, რომლებიც თავად ვენეციის ბიენალეს არქივშია დაცული (Archivio Storico delle Arti Contemporanee della Biennale). შვიდი სრული და სამი მოკლემეტრაჟიანი ნამუშევარი სხვადასხვა წლებში სწორედ ვენეციის კინოფესტივალის სხვადასხვა სექციებში იყო წარმოდგენილი, თუმცა, დიდი კინემატოგრაფიული ღირებულების მიუხედავად, ისინი პრაქტიკულად მხოლოდ ფესტივალის მაყურებელს აქვს ნანახი. ალბერტო ბარბერას ამ ინიციატივას უკვე გამოეხმაურა კინოპრესა და პროექტისადმი სიმპათიაც არ დაიშურა - უდავოა, მსოფლიო კინოს ძალიან ბევრი სერიოზული ნამუშევარი გააჩნია, რომლებიც თავის დროზე საყოველთაო დაინტერესების არქონის გამო მიივიწყეს, თუმცა მხოლოდ დროებით.

საარქივო ათეულის ფილმია კარლოს საურას მიერ 1968 წელს გადაღებული შავ-თეთრი Stress-es tres-tres. ფილმი ე.წ. როუდ მუვის ჟანრს განეკუთვნება და თანამედროვე წყვილის რთულ, მაგრამ მაინც სიყვარულით სავსე ურთიერთობას ასახავს. აღნიშნული ფილმი ერთ-ერთი პირველია, რომელშიც ესპანელმა რეჟისორმა ჯერალდინ ჩაპლინი გადაიღო, რომელთანაც შემდგომში მრავალწლიანი შემოქმედებითი და პირადი ურთიერთობა აკავშირებდა.

საურას ნამუშევრის გარდა, აჩვენებენ საბჭოთა კინოს ერთ-ერთ გამორჩეულ, თუმცა პრაქტიკულად უცნობ ფილმს "უკანასკნელი ღამე" - 1936 წელს იული რაიზმანისა და დიმიტრი ვასილიევის მიერ გადაღებულ რევოლუციური თემატიკის მქონე სურათს. ფილმში კაპიტალისტისა და მუშის შვილების ურთიერთობა და მათი რევოლუციურ პროცესებში ჩართვაა ასახული და მხოლოდ ერთი ღამის ქრონიკას აერთიანებს. 1950 წელსაა გადაღებული ფრანგული "ღმერთს ადამიანები სჭირდება" - ჟან დელანოის შავ-თეთრი ფილმი, რომელიც "ბერლინალეს" კონკურსშიც მონაწილეობდა და "ბაფტაზეც" იყო ნომინირებული, ვენეციაში კი OCIC Award აქვს მოპოვებული.

ვენეციის Fipresci-ის ჯილდოს ლაურეატია რენატო კასტელანის 1961 წლის ფილმი "ყაჩაღი", რომელიც კალაბრიელი ფერმერის ისტორიას მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმის სრულ ვერსიას მაყურებელი პირველად ნახავს, რადგან თავის დროზე, დიდი ქრონომეტრაჟის გამო, გაქირავებაში მისი შემცირებული ვერსია გამოუშვეს. ვენეციაზე ჩვენება ახალი სიცოცხლის დაწყების ტოლფასი იქნება ჩეხოსლოვაკური მოკლემეტრაჟიანი "რწყილების ტომრისთვისაც", რომლის ერთადერთი ასლი სწორედ ზემოთ აღნიშნულ არქივში ინახება. საარქივო ჩვენებაში ასევე წარმოდგენილი იქნება: ამერიკელი ჯეიმს დესმონდის, გრეგორი შუკერისა და ნიკოლას პროფერეს დოკუმენტური "როგორც იქნა, თავისუფლები ვართ", რომელიც მარტინ ლუთერ კინგის მიერ ორგანიზებულ 1968 წლის ვაშინგტონის მარშის ქრონიკას ასახავს. აქვეა ფილიპინელი მანუელ კონდესა და სალვადორ ლოუს "ჩინგის ყაენი", იტალიელი ჯანი და კამპოს "დახურული გვერდები", ჩეხოსლოვაკური სოციალური დრამა "ჭაობის ქალაქი" (რეჟისორი ვაცლავ ტაბორსკი) და ჩილელი რაულ რუისის მიერ 1971 წელს გადაღებული "ახლა კი ძმას დაგიძახებთ."

ვენეციის საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ პროგრამას ივლისის მიწურულს გამოაცხადებენ, მანამდე კი მხოლოდ ისაა ცნობილი რომ, ფესტივალის ჟიურის თავმჯდომარე ამერიკელი რეჟისორი მაიკლ მაინი იქნება, ხოლო კინოს განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის სპეციალურ ჯილდოს იტალიელ რეჟისორ ფრანჩესკო როსის გადასცემენ. ფესტივალი 29 აგვისტოს გაიხსნება, 8 სექტემბერს კი საზეიმოდ დახურავენ.

ახალგაზრდა ბორჯღალოსნები ზიმბაბვეს იოლად გაუსწორდნენ

გიგა გურასაშვილი

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა სოლტ ლეიკ სიტიში მიმდინარე მსოფლიოს ახალგაზრდული "ალაფის" ჯგუფური ტურნირის მეორე მატჩში, ზიმბაბვეს ნაკრებს 43:7 გადაურბინა და ჯგუფიდან გასასვლელად დიდი ნაბიჯიც გადაგა.

ახალგაზრდა ბორჯღალოსანთა გუშინდელი წარამატება (შეხვედრა თბილისის დროით 22:00 საათზე დაიწყო) იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ ქართველთა შოტლანდიელ დამრიგებელს იან სმიტს ზიმბაბვესთან შეხვედრამდე ორი იძულებითი ცვლილების განხორციელებამ მოუნია. 20-წლამდელთა ნაკრებს აფრიკის ჩემპიონ ზიმბაბვესთან ვერ დაეხმარნენ უკანახაზელები გიორგი ბიწაძე და თამაზ მჭედლიძე (მჭედლიძე ერთი თამაშითაა დისკვალიფიცირებული, ბიწაძე კი ორ მატჩს გამოტოვებს). მიუხედავად ამისა, საქართველოს ნაკრებმა აფრიკის ჩემპიონებთან შეხვედრა ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა და იქვე ოთხზე მეტი ლელოსთვის პრემიალურ ქულასაც გამოკრა ხელი.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში ახალგაზრდა ბორჯღალოსნებმა კანადის ნაკრები დაამარცხეს 31:17.

და კიდევ, საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებს B ჯგუფის ბოლო შეხვედრა 26 ივნისს იაპონიის ძლიერ ნაკრებთან ელის, რომელიც მომავალ მეტოქეებთან შეხვედრამდე საგანგებოდ დაესწრნენ საქართველოსა და ზიმბაბვეს დაპირისპირებას.

საქართველოს ნაკრები: 15. საბა ნიკოლავა, 14. ზურაბ ძნელაძე, 13. მერაბ შარიქაძე, 12. გიგა გაგოშვილი, 11. ლევან გოგოლაშვილი, 10. გოდერძი ჭინჭარაული, 9. ვაჟა ხუციშვილი; 1. არჩილ ბეჟაშვილი, 2. ვაჟა თაგაური, 3. ზაზა ნავროზაშვილი, 4. მინდია ელგუჯაური, 5. სანდრო ქოიავა, 6. ელგუჯა სურგულაძე, 7. ბექა მამრიკიშვილი, 8. ლაშა ლომიძე.

სათადარიგოები: 16. გიორგი თეთრაშვილი, 17. გიორგი ლომთაძე, 18. ვახტანგ ახობაძე, 19. გურამ შენგელია; 20. გიორგი მისრიაშვილი, 21. გიორგი ბასილაია, 22. ბახვა კობახიძე.

განაცხადში არ არიან: გიორგი მჭედლიშვილი, საბა ბერაძე.

დისკვალიფიკაცია: გიორგი ბიწაძე, თამაზ მჭედლიძე.

მთავარი მწვრთნელი: იან სმიტი

თანაშემწეები: ლადო კილასონია, ირაკლი ჭყონია

2012 წლის მსოფლიო თასის "ალაფა"
სოლტ ლეიკ სიტი (აშშ).
B ჯგუფი
22 ივნისი. II წრე
საქართველო - ზიმბაბვე 47:3

გერმანიას ფინალამდე ერთი მატჩი დარჩა

გერმანია რომ უპირობო ფავორიტი იყო, ამაზე თავად ბერძნებიც არ დავობდნენ. იოჰამ ლიოვის გუნდი არა მარტო ამ შეხვედრის, არამედ, მთლიანად ჩემპიონატის მოგების ერთ-ერთ რეალურ პრეტენდენტად ითვლება, რაც ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩის მოგებითა და უმაღლესი დონის თამაშით დაამტკიცა.

თუმცა ბერძნები იხსენებდნენ ევრო 2004-ს, მაშინ ხომ მათ სათვალავშიც არავინ აგდებდა, მაგრამ ოტო რეჰაგელის გაწვრთნილებმა სასწაული მოახდინეს და ევრომწვერვალი დაიპყრეს.

ბევრისთვის მოულოდნელად ლიოვმა აწყობილ-გამართული გუნდის შემტევი ტრიო სათადარიგოთა სკამზე დასვა და მეტოქის კარის აწიოკება როის-კლოზე-შურლეს ტრიოს დაავალა. ამ სამეულმაც იოზილ-შვაიშტაინგერის პასებით პირველ ტაიმში იმდენი მომენტი შექმნეს და იმდენჯერ ახტუნეს მეკარე სიფაკისი, ეს უკანასკნელი ალბათ გერმანელთა ქომაგებსაც კი შეეცოდათ. თუმცა გოლი არა და არ გადიოდა, სანამ საქმეში ბუნდესნაკრების კაპიტანი ფილიპ ლამი არ ჩაერთო - მარცხენა ფლანგიდან შეტევაში ჩართულმა, საჯარიმოს მიუახლოვდა თუ არა, ისეთი დაარტყა, ბურთი პირდაპირ ბერძენთა კარის ცხრიანში შეჭედა. ტაიმის დასრულებამდე ხუთი წუთი რჩებოდა და ლიოვის შეგირდება შესვენებამდე მოინდომეს საქმის მოთავება, მაგრამ გასახდელში მხოლოდ ერთბურთიანი უპირატესობით გავიდნენ.

სამი ხედირას მეორე გოლი

ბერძენთა პორტუგალიელმა მწვრთნელმა ფერნანდუ სანტუშმა შესვენებისას რამდენიმე ცვლილება განახორციელე, ელინებიც მეტად მობილიზებულნი გავიდნენ გდანსკის ტალახიან მოედანზე და 55-წუთზე ბევრს აფიქრებინეს, რომ კიდევ ერთი სასწაულის მოხდენა შეეძლოთ - სალპინგიდისი-სამარასის სწრაფ კონტრშეტევას ნოიერის კარში გამთანაბრებელი გოლი მოჰყვა.

მცირედი დაბნეულობის შემდეგ გერმანია კვლავ "დაიქოქა" და მათ აზრიან და მძლავრ შეტევებს ვეღარც მეტოქის ნახევარდაცვა უმკლავდებოდა და ვერც დაცვა. ჯერ საჯარიმოში შეჭრილმა სამი ხედირამ ლამის გახია ბერძენთა კარის ბადე, მერე მირო კლოზემ წინ გამოსულ მეკარეს თავით თავზე გადაუგდო ბურთი, გოლით დაიმშვენა ევრო დებიუტი მარკო როისმაც. თამაშის მიწურულს კი ბერძნებმა გული პენალტიდან გატანილი გოლით მოიფხანეს.

გერმანია, როგორც მოსალოდნელი იყო, ნახევარფინალშია და იქ ინგლის-იტალიის წყვილში გამარჯვებულს დაელოდება.

მეოთხედფინალი.
გერმანია -საბერძნეთი 4:2

გოლები: 1:0 ლამი (39), 1:1 სამარასი (55), 2:1 ხედირა (61), 3:1 კლოზე (68), 4:1 როისი (74), 4:2 სალპინგიდისი (პენ.89)

დელ პიერო და ბუფონი

ზურაბ თალაკვაძე

ალესანდრო დელ პიერომ იცის, რა და როდის უნდა მიიღოს. მოეწონა ფეხბურთის თამაში და ფეხბურთის თამაში დაიწყო. ალესანდროს საფეხბურთო ფანტაზიაში გოია და ბოსხი ახლობლობენ. დელ პიეროს უყვარს იტალიელებთან იტალიურად ჭორაობა და ალესანდრო კარგი მზარეულია.

ჯანლუიჯი ბუფონმაც იცის, რა და როდის უნდა მიიღოს. მოეწონა ფეხბურთის თამაში და არ მოეწონა, რომ ეზოში, კარარას ძველ უბანში ცოტა გოლი გაჰქონდა. ჯანლუიჯიმ გადაწყვიტა, რომ კარში ჩამდგარიყო და სხვებისთვის გოლები არ გაეტანინებინა. ბუფონმა ეს გააკეთა. ბუფონს უყვარს იტალიელებთან იტალიურად ჭორაობა და ჯანლუიჯი კარგი მზარეულია.

ალესანდროს დღე ჩვეულებრივად იწყება. ჩვეულებრივად, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ალეს ანგელოზს, სონია ამორუზოს, რომელსაც მშვიდი ბიჭი დიდ ყურადღებას აქცევს. სონიას უყვარს ძილი და ალეს უყვარს სონია. იტალიური ზღაპარი.

ჯანლუიჯის დღეც ჩვეულებრივად იწყება. ჩვეულებრივად, თუ ყურადღებას არ მივაქცევთ ჯანლუიჯის ანგელოზს, ალიონა სერედოვას, რომელსაც მშვიდი ბიჭი დიდ ყურადღებას აქცევს. ალიონასაც უყვარს ძილი და ჯანლუიჯის უყვარს ალიონა.

მაროკოდან ჩამოტანილ ხის თეფშებზე სანდრო ურევს წინა ღამით გამზადებულ კივის და ბანანის პატარა ნაჭრებს. მაცივრიდან იღებს მარწყვის ბეზეს. პატარა, ბავშვურ საცხობ ფორმებში გამომცხვარ პატარა ბეზეებს და მეორე თეფშზე ოვალურად აწყობს. წითელი ფორთოხლის წვენიც იქვეა. სამზარეულოში ფუსფუსის დროს ალესანდრო მიკ ჯაგერს უსმენს. გახსნა. წამოიღო.

ფუსფუსებს სამზარეულოში ჯანლუიჯიც. ფლორენციაში, მეგობრის საცხობიდან წამოღებულ კვადრატულ თეფშებზე მოხარშული ჭარხალი და ჰოლანდიური ყველი ანანასის სოუსით იფარება და ყველთან ავოკადოს ორი ნაჭერი უნდა იდოს. ამ მიქსტის ათვისებისას სენიორ ბუფონი უსმენს სელინ დიონს და დილის პროგრამა დასრულებულია.

დელ პიეროს დილა სონიას ხავერდოვან კანზე შეხებამ და ვარჯიშის წინ დამშვიდობებამ დახურა. ლამაზი დილა ლამაზ და იტალიურ ოჯახში.

ბუფონის დილა ალიონას ხავერდოვან კანზე შეხებამ და ვარჯიშის წინ დამშვიდობებამ დახურა. მშვიდი დილა მშვიდ და ცოტა მოსუვენარ ოჯახში.

ალესანდრო იტალიაში მიკ ჯაგერია.

ბუფონი იტალიაში ნეონაცისტების კერპი იყო. ადრე, "პარმაში", ზურგზე 88 დაიწერა. ნეონაცისტების კოდი, რომელიც შლიდა სლოგანს Heil Hitler. H ანბანში რიგში მერვეა და ორი H 88 გამოდიოდა. ბუფონმა 88 შეცვალა და 77 დაირტყა. მანამდე ულტრანაციონალისტებისგან აირტყა.

ორი ჩვეულებრივი იტალიელის დილა. იტალიაში იტალიელები და ცოლები უყვართ.

ეს იტალიაა. თავისი პატარა ისტორიებით და იტალიური ამბებით.

კასილიასი ჟურნალისტს კოცნას შეჰპირდა

2010 წლის მუნდიალზე ესპანეთის ნაკრების ტრიუმფი ყველას ახსოვს. მას შემდეგ, რაც სამხრეთაფრიკული მუნდიალის ფინალში "ფურია როხამ" ჰოლანდიის ნაკრები ანგარიშით 1:0 დაამარცხა, კასილიასმა ესპანური ტელევიზიის ჟურნალისტს მისცა ინტერვიუ. ეს ინტერვიუ დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ, სტადიონზევე შედგა. ბანალური საუბრის შემდეგ კასილიასმა ჟურნალისტი გულში ჩაიკრა და ტუჩებში აკოცა. ეს გასაკვირი არც იყო, რადგან იკერი თავის მეგობარ გოგონას, სარა კარბონეროს აძლევდა ინტერვიუს.

ესპანეთის ნაკრები მიმდინარე ევროპის პირველობის მთავარ ფოვორიტად ითვლება. "ფურია როხა" უკვე მეოთხედფინალშია და საფრანგეთთან მატჩისთვის ემზადება. ესპანეთის ნაკრების კაპიტანი ჟურნალისტებისთვის სასურველი რესპონდენტია. რადიოსადგურმა Cadena Ser-მა იკერს ინტერვიუ სთხოვა.

იკერ კასილიასი ხუმრობის ხასიათზეა

ჟურნალისტმა ხოსე რამონ დე ლაპ მორენომ იკერთან საუბარში სარა კარბონეროს ეპიზოდი გაიხსენა. იკერი კი რადიოჟურნალისტს შეჰპირდა, რომ თუ ესპანეთი ჩემპიონი გახდება, მასაც აკოცებს, თუმცა, დაამატა, რომ კოცნა ისეთი არ იქნება, როგორიც 2010 წელს იყო. "ცხვირზე გაკოცებ", - უთხრა კასილიასმა ჟურნალისტს, რაზეც ჟურნალისტმა უპასუხა, ვნახოთ, თუ მოახერხებ ჩემ დაჭერასო. კასილიასმა ესპანეთის ნაკრების თამაშიც შეაჯამა და თქვა, რომ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებისგან ბევრს ითხოვენ. "თამასა ძალიან მაღლაა აწეული. ჩვენგან ყველა განსაკუთრებულ თამაშს ელის. ჩვენმა გუნდმა ჯგუფურ ეტაპზე ურიგოდ არ ითამაშა, მიზანს მივაღწიეთ და შემდეგ ეტაპზე პირველი ადგილიდან გავედით. წინ უმნიშვნელოვანესი მეოთხედფინალი გველის", - თქვა იკერმა. მეოთხედფინალში ესპანეთის ნაკრები საფრანგეთის ეროვნულ გუნდს ხვდება.

კაშაიმ შეცდომა აღიარა

უკრაინა-ინგლისის მატჩის არბიტრმა ვიქტორ კაშაიმ აღიარა, რომ ამ შეხვედრაში შეცდა და უკრაინელებს აშკარა გოლი არ ჩაუთვალა.

"თამაშის შემდეგ მსაჯთა მთელმა ბრიგადამ ყურადღებით შეისწავლა ეპიზოდი. დავრწმუნდით, რომ შევცდით, ბურთი უნდა ჩაგვთვალა. ჩვენი სამუშაო ძალიან რთულია. შეიძლება 99 შემთხვევაში სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ერთხელ შეგეშალოს და ის ერთი ყველაფერს წყალში ყრის. ჩვენც ფეხბურთელებივით ვართ. გავდივართ მინდორზე და ზოგჯერ ვმარცხდებით," - აღნიშნა კაშაიმ.

კაშაი ევრო 2012-ის მატჩების მსაჯობიდან უკვე გაათავისუფლეს.

რონალდუ "ოქროს ბურთს" უახლოვდება

2011-12 წლების სეზონში "ოქროს ბურთის" მოპოვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად კრისტიანუ რონალდუ ითვლება. პორტუგალიელმა ესპანეთის ჩემპიონატი მოიგო და სწორედ რონალდუს დახმარებით შეაჩერა მადრიდის "რეალმა" "ბარსელონას" ჰეგემონია.

თუმცა, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ წლებში, როდესაც ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები იმართება, "ოქროს ბურთის" გამარჯვებულის დასახელებისას სანაკრებო მიღწევებს დიდ ყურადღებას აქცევენ.

ევროპის პირველობა რონალდუმ ისე დაიწყო, რომ მტერს არ უსურვებდა კაცი. ჯგუფური ეტპის მესამე თამაში და მეოთხედფინალი კი კრისტიანუმ უმაღლეს დონეზე ჩაატარა. შეიძლება ითქვას, რომ პორტუგალია-ჰოლანდია და პორტუგალია-ჩეხეთი რონალდუს ბენეფისად იქცა.

ნახევარფინალის საგზურის მოპოვების შემდეგ რონალდუმ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა: "ეს იყო ფანტასტიკური მატჩი. არა მგონია, რომ ევროპის ჩემპიონატი იყოს გადამწყვეტი "ოქროს ბურთის" მოგებისთვის, მაგრამ აქ კარგი თამაში "ოქროს ბურთის" მოგებაში რომ დამეხმარება, აშკარაა. გოლი კი ჩემს შვილს მივუძღვენი. რაც შეეხება ნახევარფინალს, მნიშვნელობა არა აქვს, ვის წინააღმდეგ ვითამაშებთ. საფრანგეთი თუ ესპანეთი? ჩემთვის სულ ერთია. ნახევარფინალში გუნდებს გამარჯვების თანაბარი შანსი ექნებათ".

ევრო 2012-ზე ესპანური პრიმერა ლიდერობს

ევრო 2012-ის ჯგუფურ ეტაპზე 16 ქვეყნის 368 ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც 24 საფეხბურთო ლიგას წარმოადგენდნენ.

ინგლისური პრემიერ ლიგიდან ევრო 2012-ზე ყველაზე მეტი - 74 ფეხბურთელი იყო დელიგირებული. შემდეგ მოდის გერმანული ბუნდესლიგა (48 ფეხბურთელი). ესპანური პრიმერა მესამე ადგილზე გავიდა (32).

ჯგუფური ეტაპის შემდეგ სააგენტო goal.com-მა ფეხბურთელთა საშუალო რეიტინგები შეაჯამა და ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპის შედეგების მიხედვით საუკეთესო საფეხბურთო ლიგების ტოპ ათეული შეადგინა.

1.ესპანური ლა ლიგა (რეიტინგი 2.94. ფეხბურთელთა რაოდენობა 21, საუკეთესო ფეხბურთელი ინიესტა)
2.პორტუგალიური პრემერა (2.83, 4, მოუტინიო)
3.გერმანული ბუნდესლიგა (2.78, 22, შვაინშტაიგერი)
4.იტალიური სერია ა (2.69, 20, პირლო)
5.უკრაინული პრემიერ ლიგა (2.68, 14, შევჩენკო)
6.რუსული პრემიერ ლიგა (2.67, 18, ძაგოევი)
7.ფრანგული პირველი ლიგა (2.53, 12, ანდერსენი)
8.ინგლისური პრემიერ ლიგა (2.50, 42, ბენდტნერი)
9.ჰოლანდიური ერედივიზიონი (2.37, 9, ტიტონი)
10.ბერძნული სუპერლიგა (2.25, 9, ტოროსიდისი)

ფეხბურთელთა რაოდენობაში მითითებული არიან მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებმაც ჯგუფურ ეტაპზე ითამაშეს და goal.com-ის სარეიტინგო შეფასება მიიღეს.

მესი და მისი მეგობრები

სანამ ევროპაში კონტინენტის პირველობა მიმდინარეობს, კოლუმბიაში ჩატარდა საქველმოქმედო მატჩი, რომელშიც ლეო მესისა და მისი მეგობრების გუნდი დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებს ფრედ - 6:6 ეთამაშა.

მესის მეგობრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: პინტო, გოდინი, ლუგანო (პერესი), ანდრე სანტოსი, გარგანო, მასკერანო, დიეგო, მესი (ალვეში), ლავეესი, რობინიო, ოსვალდო (ორტეტა).

დანარჩენი მსოფლიოს ნაკრები ასე გამოიყურებოდა: მონდრაგონი (ოჩოა), ა. გონსალესი, იეპესი, კანავარო, ვიაფარა, ჰამშიკი, დ. ერნანდესი (სუკულინი), ხ.როდრიგესი, ფალკაო, გუტიერესი, ფორლანი.

მესის მეგობრების მხრიდან გოლები გაიტანეს ლავეესიმ, რობინიომ (2), ოსვალდომ, თავად მესიმ და ერთიც ა. გონსალესმა საკუთარ კარში. მსოფლიოს ნაკრებიდან ორ-ორი გოლი გაიტანეს ფალკაომ და ხ.როდრიგესმა და თითო ჰამშიკმა და გუტიერესმა.

მუსტერი სიბერეში კაბას იცვამს

სანკტ პეტერბურგში "მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავები" იკრიბებიან. პროგრამის მთავარ ნაწილად აქედანვე ჩაითვალა შეხვედრა რუს ელენა დემენტიევასა და ავსტრიელ ტომას მუსტერს შორის, რამაც უნდა უპასუხოს შეკითხვას: ვინ უფრო ძლიერია - ქალი თუ კაცი?

"ძალიან მინდა დამთავრდეს დავა იმაზე, თუ რამდენად ჩამორჩება ქალთა ჩოგბურთი ვაჟებისას. ამიტომ, პირადად მე მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ. დანებებას არ ვაპირებ", - ამბობს დემენტიევა.

უცნაურ პირობას დებს ტომას მუსტერი: "მე ჩავიცვამ ქვედატანს. ორი კვირაა არ გამიხდია მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. რეალურად ქალთა ჩოგბურთი ბოლო წლებში საგრძნობლად გაძლიერდა, მაგრამ ვაჟებს მაინც დიდი ძალა აქვთ. ჩვენ მხოლოდ სიამოვნების მისაღებად გავალთ კორტზე და არა ამ თემაზე კამათის დასამთავრებლად".

ვეტერანთა ტურნირზე ასევე იასპარეზებენ ხორვატი გორან ივანიშევიჩი, ამერიკელი მარტინა ნავრატილოვა, შვედი ბიორნ ბორგი, ესპანელი კარლოს მოია და რუსი ანდრეი ჩესნოკოვი.

ბედნიერი მეფე

ზურაბ თალაკვაძე

ლებრონ ჯეიმსი სუპერფინალის ბოსი იყო

კრისტოფერ უოკენი სერიოზული ბიძაა. სერიოზული როლებით. სერიოზული თემებით და ცოტა ცბიერი, იტალიური მისალმებით. უოკენის ერთი პერსონაჟი ადრე აქ, სხვაგან, ყველგან პოპულარული იყო. განგსტერი გამოდის ციხიდან და ჯერ უბანში, მერე მთელ ქალაქში ექსკურსიას იწყებს. ვიღაცებმა დიდი კუში მოხსნეს, ვიღაცებმა იმაზე მეტი მიიღეს, ვიდრე უნდა მიეღოთ და ვიღაცებმა არ იციან, ვინ არის ის, მისტერ ფრენკ უაითი. მისტერ ფრენკ უაითი ნიუ იორკის მეფეა. იქ, ცივ, ოფლიან და ნესტიან გალიაში, რომელსაც სამართალმა თვალები ძაფებით ამოუკერა, დრო ნელა გადიოდა. ფრენკმა დროს თვალი ჩაუკრა, შიში მოგუდა და ციხიდან ახალი კაცი გამოდის. ახალი კაცი, რომელმაც თავის ქალაქში, ნიუ იორკში, სიტუაცია უნდა დაალაგოს. ფრენკი ნიუ იორკია. სხვა ვარიანტი არ არსებობს. My way, or highway.

ლებრონ ჯეიმსიც სერიოზული ბიძაა. სერიოზული კარიერით. სერიოზული კონტრაქტებით და ქუჩური კალათბურთით. ჯეიმსი აქ, სხვაგან, ყველგან პოპულარულია და ლებრონმა ჯერ აღმოსავლეთში, მერე მთელ ლიგაში დაამყარა წესრიგი. ჯეიმსის ნებართვის გარეშე ვიღაცებმა დიდი კუში მოხსნეს. ჯეიმსის ნებართვის გარეშე კარმელო ენტონი ნიუ იორკში წავიდა და იქ კარგი კონტრაქტი მიიღო. მისტერ ჯეიმსი ჯერ კლივლენდის, დღეს უკვე მაიამის მეფეა და ფლორიდაში მალე მაგარი ამბები დაიწყება.

მაიამი ჰიტმა სუპერფინალის მეხუთე გარჩევაში ოკლაჰომას 121:106 შემოარტყა და სერია 4:1 დახურა. "მაიამი" ჩემპიონია და მთელი ეს ამბავი ერთი კაცის მოლოდინს ამთავრებს. ლებრონ ჯეიმსმა მოიგო ის, რაც დიდ ბიჭს აკლდა. მოიგო ის, რაც უნდა მოეგო და ლებრონი დაისვენებს. მისტერ ჯეიმსმა კევინ დიურანის ახლობლებს ბოლო ტესტში 26 ქულა, 13 პასი და 11 მოხსნა შეუგროვა.

28.6 ქულა, 10.2 მოხსნა, 7.4 პასი სუპერფინალში. მეჯიქის, ლარის, მაიკლის, კობის ტერიტორია. ჯეიმსი რაღაც მომენტში მოეშვა, გადახედა დარბაზს და პატრაილი დაინახა. მაიამის ბოსმა განიერ ბიჭს თვალებით მადლობა გადაუხადა. ლებრონმა დაინახა დედიკო, გლორია, რომელიც იმ დღეს შვილის ძმაკაცებთან არ ცელქობდა და მხოლოდ გაზრდილ ლებრონზე, კალათბურთზე ფიქრობდა.

ჯეიმსმა სეზონი სამმაგი დუბლით დახურა და ჯეიმსმა სამმაგად დაისვენა.

ლებრონი და კიდევ რამდენიმე მონდომებული ბიჭი ლიგის კომისარს, მისტერ დევიდ სტერნს მილიონებს დაუგროვებენ. სტერნმა ეს იცის. სტერნი ლებრონს ეფერება, კომფორტს უქმნის.

ცხრა სეზონის შემდეგ ლებრონი იგებს იმას, რაც ეკუთვნის. ჯეიმსზე თქვეს, რომ ის საკალათბურთო პანთეონის ყველაზე დაკუნთული იმპოტენტია. ბიჭს გაეცინა. ჯეიმსს წინა ორ ფინალში ორმა ტექსასურმა ბანდამ (2007-ში სან ანტონიომ და შარშან - დალასმა) აუწია ყური და ლებრონის შეცდომებზე კლივლენდს, ჯეიმსის წინა გუნდს ეცინებოდა. დღეს ლებრონს ეცინება.

ჯეიმსმა მოიგო და მოეშვა. ჩაუჯდება კენი ჯის, ჩართავს ფილმს King of New York, სადაც ფრენკ უაითი ბიჭებს ეუბნება, რომ ქალაქში წესრიგსა და გრძნობებზე დღეიდან ის იზრუნებს. ფრენკი მეფეა. ლებრონიც. ბედნიერი, განიერი, ფრენკ უაითზე ცოტა მუქი და მშვიდი მეფე.

კრისტოფერ უოკენი სერიოზული ბიძაა. ლებრონ ჯეიმსიც სერიოზული ბიძაა. სერიოზული კარიერით. სერიოზული კონტრაქტებით და ქუჩური კალათბურთით. ჯეიმსი აქ, სხვაგან, ყველაგან პოპულარულია და ლებრონმა ჯერ აღმოსავლეთში, მერე მთელ ლიგაში დაამყარა წესრიგი. ჯეიმსის ნებართვის გარეშე ვიღაცებმა დიდი კუში მოხსნეს. ჯეიმსის ნებართვის გარეშე კარმელო ენტონი ნიუ იორკში წავიდა და იქ სერიოზული კონტრაქტი მიიღო.

ფრენკ უაითი მეფეა. ლებრონიც.

ვალენსიის ტრასაზე ბოლიდები საქმეს შეუდგნენ

გიგა გურასაშვილი

ევროპის დიდ პრიზზე შუმახერისგან გამარჯვებაა მოსალოდნელი

ვალენსიაში თავისუფალი ვარჯიშებით სტარტი აიღო ევროპის დიდმა პრიზმა, სადაც საინტერესო შედეგებს ელიან მერსედესელი მიხაელ შუმახერისა და "ლოტუსის" მრბოლელების - კიმი რაიკონენისა და რომენ გროჟანისგან. ევროპის დიდი პრიზის ინტრიგა: გაგრძელდება თუ არა ტენდენცია, რომ აქამდე ჩატარებულ შვიდ ეტაპზე შვიდი სხვადასხვა გამარჯვებული გამოვლინდა. ამ შვიდეულიდან რომელიმე შეძლებს თუ არა სეზონის მეორე რბოლის მოგებას.

დღემდე ჩატარებულ შვიდ ეტაპზე პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი: ჯენსონ ბატონმა - ავსტრალიაში, ფერნანდო ალონსომ - მალაიზიაში, ნიკო როსბერგმა - ჩინეთში, სებასტიან ფეტელმა - ბაჰრეინში, ხოლო მას შემდეგ, რაც "სამეფო რბოლებმა" ბებერ კონტინენტზე გადაინაცვლა, ესპანეთის დიდ პრიზზე თავისი გამარჯვებით სახტად დატოვა ფორმულა 1-ის სამყარო ვენესუელელმა პასტორ მალდონადომ. მონაკოს ეტაპი კი მარკ უებერს დარჩა. კანადის პრიზზე, როგორც იქნა, გამარჯვების გემო გაიხსენა ლუის ჰამილტონმაც. მსოფლიო ჩემპიონატის მოწინავეთა ათეულიდან ჯერჯერობით არ გაუმარჯვიათ კიმი რაიკონენს, მის თანაგუნდელს რომენ გროჟანს, რომელიც კანადაში მეორე იყო და ჩრდილოამერიკული ეტაპის მესამე პრიზიორს სერხიო პერესს.

მაგრამ არის ისეთიც, რომელიც ჩამოთვლილ პრეტენდენტთა ნუსხას არ ეკუთვნის, მაგრამ მისგანაც ელიან გამარჯვებას. ეს მიხაელ შუმახერია.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონმა მონაკოს კვალიფიკაცია ბრწყინვალედ ჩაატარა - პოული მოიგო. არავინ იცის, როგორ განვითარდებოდა მოვლენები ესპანეთის დიდ პრიზზე, ავარიის გამო გერმანელი რომ არ დაეჯარიმებინათ, რაც ხუთი საფეხურით ჩამოქვეითებაში აისახა.

ვალენსიის ტრასა, ისევე როგორც მონაკოსი, ქალაქის ქუჩებშია გაშლილი თავისი უამრავი მოსახვევით. მონაკოში მოპოვებულმა კვალიფიკაციამ აჩვენა, რომ ასეთ პირობებში შუმახერი, რომლის ანგარიშზე ორი ქულაა, თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში.

ახლა მთავარია, რომ შუმახერი და მისი თანაგუნდელი ნიკო როსბერგი ტექნიკამ არ დააღალატოს, როგორც ეს მოხდა კანადაში, როდესაც ტექნიკური ხარვეზის გამო გერმანელს ტრასის დატოვება მოუხდა.

იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარე სეზონში გამარჯვება არ უზეიმიათ "ლოტუსის" ფინელ და ფრანგ მრბოლელებს (რაიკონენი/გროჟანი), ევროპის დიდ პრიზზე ისინიც ითვლებიან გამარჯვების ერთ-ერთ პრეტენდენტებად.

კიმი რაიკონენი და რომენ გროჟანი სწრაფად მიდიან წინ - საწყის რბოლებში ერთ-ერთი მათგანი მაინც ხვდებოდა ათეულში. ბაჰრეინში რაიკონენი მეორე იყო, ხოლო გროჟანი - მესამე. ესპანეთის დიდ პრიზზე რაიკონენმა მესამემ დაასრულა რბოლა, გროჟანმა კი - მეოთხემ.

ლოტუსელებზე გავლენა არ მოუხდენია მონაკოში წარუმატებლობას, სადაც რაიკონენი მეცხრე იყო. მომდევნო ეტაპზე, კანადაში, გროჟანი მხოლოდ მომავალი გამარჯვებულის - ლუის ჰამილტონის "მაკლარენს" ჩამორჩა.

ამასობაში საჯინიბოს შეფი ერიკ ბულე იმედიან განცხადებას აკეთებს: ჩვენი ბოლიდები მაღალ ტემპერატურაზე მეტად კონკურენტუნარიანები არიანო. "ლოტუსის" ხელმძღვანელის სიტყვები საგულისხმოა, რადგან დღევანდელ კვალიფიკაციაზე და ხვალინდელი ძირითად რბოლებისას ვალენსიაში მზიან ამინდს ელოდებიან, 27-29-გრადუსიანი ტემპერატურით.